

**თენგიზ ბრიგოლია
მანია ამირბულაშვილი
ზურაბ კვეტენაძე**

**შავი ზღვის აუზში მიმდინარე
ინტეგრაციული პროცესები
(1991-2008)**

**The Integrational processes in the
Black Sea Basin
(1991-2008)**

**თბილისი
2009**

წიგნში განხილულია საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული და გეოპოლიტიკური, რეგიონალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, რომელთაც ხელი შეუწყვეს საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ. ნაჩვენებია საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა შავი და კასპიის ზღვების, ასევე ცენტრალური აზიის ენერგეტიკულ რესურსებთან მიმართებაში. ნაშრომში ყურადღება ეთმობა საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს ისეთ გლობალურ რეგიონალურ ფლაგმანებთან, როგორცაა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC (ბი-სეკი), დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია (სუამი). წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი

რეცენზენტი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნუგზარ მურუსიძე

შინაარსი

1. შესავალი ————— 4
2. ტაზი I საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული და გეოპოლიტიკური ასპექტები ————— 12
3. ტაზი II საქართველო შავი ზღვის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ————— 48
3. ტაზი III ევროკავშირის რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივა, რომელიც BSEC- ის სტრუქტურების საშუალებით უნდა განხორციელდეს ————— 138
4. რეზიუმე ————— 209
5. ლიტერატურა ————— 223

შესავალი

საქართველომ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე უმდიდრესი ეკონომიკური გამოცდა განკლო. ქართველი კაცის ეკონომიკური ცხოვრების წესი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა მის კულტურულ მემკვიდრეობასთან. შემთხვევითი როდი იყო, რომ მაჰმადიანური სამყაროს დამპყრობლები საქართველოში ფეხს იმიტომაც ვერ იკიდებდნენ, რომ ჩვენი სამამულო მეურნეობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან. ქრისტიანულ – მართლმადიდებლური სამამულო წარმოების წესი აბსოლუტურად ვერ ეგეებოდა აღმოსავლურ მომთაბარე მეურნეობაზე დაფუძნებულ წარმოების წესს. ამიტომაც იყო გაუცხოების ფაქტორი დიდი, რაც მკვეთრ დაპირისპირებას იწვევდა. ზოგიერთი დიდი დამპყრობელი კი (მაგ. თემურ ლენგი, შაჰ-აბას I) ქრისტიანული რელიგიის შეცვლას სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით ცდილობდა.

ერთადერთი მახლობელი სამყარო საქართველოსთვის დასავლური იყო, თუმცა პოლიტიკურ მოვლენათა გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოს-

თან სუსტი იყო. მოგვიანებით კი პოლიტიკური არჩევანი რუსეთზე გაკეთდა, რამაც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას თავისი კვალი დააჩინა.

დღეს ხშირია საუბარი იმაზე ქართულ საზოგადოებაში, თუ როგორი პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტაცია უნდა აირჩიოს საქართველომ. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველოზე დიდია როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის გავლენა.

საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი გარე საფრთხეებს უკავშირდებოდა. ევროპა საქართველოსთვის ყოველთვის იყო პოლიტიკური პროგრესის მედროშე. ასეა ახლაც. თუმცა დიდი ხნის მანძილზე ევროპის სახელმწიფოთა კავკასიურმა პოლიტიკამ საქართველო ბედის ანაბარა დატოვა. 1921 წ. თებერვალ-მარტში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებას საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა. საქართველომ არსებობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში განაგრძო და 70 წლის მანძილზე მთლიანად ამოვარდა საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების სისტემიდან. მსოფლიო სოციალისტური სისტემის კრიზისის შედეგად საბჭოთა იმპერია

დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო გახდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს საშიშროებას უქმნიდა ის გარემოება, რომ საქართველო ჩართული აღმოჩნდა მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესში. ამას დაერთო შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობა. ამის შედეგად მივიღეთ არათანმიმდევრული პოლიტიკური ორიენტაცია, რომელმაც მოამზადა პირობები ერთიანი სახელმწიფოს ფაქტობრივი დაშლისაკენ, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და ქვეყნის უცხო სახელმწიფოებზე დამოკიდებულების ტენდენციის გაღრმავებისაკენ. მაგრამ ცხოვრება მაინც გაგრძელდა და საქართველომ საერთაშორისო ეკონომიკურ არენაზე, ძალზე მნიშვნელოვან პროექტებში დაიწყო მონაწილეობის მიღება.

პირველ რიგში აღსანიშნავია შავი ზღვის აუზში მიმდინარე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესებში მონაწილეობა, საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში ჩართვის ორიენტაცია. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა

იყო იმიტომ, რომ საქართველოს დასავლური ტიპის დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო თუ იგი ჩაებმებოდა საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პროცესებში. ნებისმიერ ფართომასშტაბიან რეგიონალურ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა დააჩქარებდა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, არამედ განამტკიცებდა მის უსაფრთხოებასაც. ამიტომ საქართველოს გაერთიანება ისეთ საერთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციაში, როგორცაა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), კიდევ უფრო აქტუალური გახდა. საქართველოსთვის ბისეკის განვითარება ევროპულ სტრუქტურებსა და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის წინა პირობას წარმოადგენდა. მართალია თავიდან ორგანიზაციის მიზნებში მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობა მოიაზრებოდა, მაგრამ შემდგომმა დინამიკამ გვიჩვენა, რომ ბისეკმა სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა. შავი ზღვის აუზის რეგიონალურ თანამშრომლობაში ჩართვა, „დასავლურ გზაზე“ საქართველოსთვის უდიდეს პროგრესს წარმოადგენდა.

საქართველოს შემდგომი წარმატებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ევროკავშირის რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივებს, რომელიც BSEC-ის სტრუქტურების საშუალებით ხორციელდება. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროკავშირისა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობები. მსო-ში (WTO) (შავიზღვისპირა ქვეყნების გაწევრიანება, რუსეთთან და უკრაინასთან პარტნიორული ხელშეკრულების გაფორმება.

შავი ზღვის რეგიონალურ ინტეგრაციულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც შეიქმნა 1991 წ. 8 დეკემბერს. საქართველო ამ გაერთიანებას მოგვიანებით შეუერთდა გამოუვალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო. საქართველოს დსთ-ში შესვლა ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ზეწოლის შედეგად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანებულ 12 სახელმწიფოს ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის დამოუკიდებელი გზა

გაანნდა, რაც აფერხებდა ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში დსთ-ს სივრცეს გამოკვეთილი ადგილი ეკავა. ეს ისევე გეოპოლიტიკური მდებარეობით იყო გამოწვეული. ტერიტორიულად ის ამ სივრცეში იყო და ძირითადი საქონელბრუნვისათვის ორიენტაციას განსაზღვრავდა. დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს ექსპორტის სასქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილი იყო სამი ძირითადი დარგი: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობა. საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს დსთ-ს სივრცეში წარმოადგენდა: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა.

საქართველოსთვის XX ს-ის 90-იანი წლების ბოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. რუსეთმა, როგორც დსთ-ს წამყვანმა სახელმწიფომ დაკარგა ინიციატივა საერთო კავკასიურ პროექტებში. ამჟამად კიდევ უფრო გამწვავებულია ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთი თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სუსტი „ეკო-

ნომიკური მოთამაშეა“, მაგრამ ფაქტი ერთია, რუსეთი ვერ გახდა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის სტაბილურობის გარანტი.

სერიოზულ როლს თამაშობდა საქართველოსთვის ისეთ სახელმწიფოთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, როგორცაა სუამი, რომელიც შეიქმნა 1997 წ. ოქტომბერში. მასში გაერთიანდა პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანა: საქართველო, უკრაინა. აზერბაიჯანი.. და მოლდოვა. სუამის წევრმა სახელმწიფოებმა გამოხატეს ერთგულება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისადმი. თუმცა მომდევნო პერიოდში ორგანიზაციამ სტაგნაცია განიცადა. 2006 წლიდან ვითარება რამდენადმე შეიცვალა და სუამის ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის მიმართულების გაფართოება.

ეფექტობთ, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული და გეოპოლიტიკური ასპექტების გამოკვეთა-შესწავლა დღეს, როგორც არასდროს ისეა აქტუალური. ჩვენ შევეცადეთ კომპლექსურად შეგვესწავლა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ურთულესი გზა.

გვეჩვენებინა ის სირთულეები, რომლებიც წინ ედობებოდა ჩვენი ქვეყნის დასაველურ ორბიტაში გაერთიანებას, მის ეკონომიკურ წინსვლას. ნაშრომში ისტორიულ, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ჭრილში განხილულია რეგიონალური ინტეგრაციის პრობლემატიკა. ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო რეგიონალურ-ეკონომიკურ-ინტეგრაციული თანამშრომლობა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა.

თავი I

საქართველოს საბარეო ეკონომიკური შრთიერთობების ისტორიული და გეოკოლიტიკური ასკეპტები

კავკასია არის შემაერთებული რგოლი ევრო-აზიური, დასავლური და აღმოსავლური სივრცისა, რომელშიც საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. კავკასიას შემთხვევით როდი უწოდებენ ცივლიზაციის აკვანს, იგი ყოველთვის იყო ის ძირითადი კვანძი, სადაც უდიდეს სახელმწიფოთა და იმპერიათა ინტერესები კვეთდნენ ერთმანეთს. კავკასიის შესახებ პირველი ცნობები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გვხვდება, მისი ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს. ფართობი 440 ათასი კვ. კილომეტრია. კავკასიონის წყალგამყოფი ქედი კავკასიას ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილოეთ კავკასიად (იმიერკავკასიად; ფართობი 250 000 კვ. კილომეტრი) და სამხრეთ კავკასიად (ამიერკავკასიად: ფართობი 190 00 კვ. კილომეტრი) ეს არის მსოფლიოს უძველეს კულტურათა, რელიგიურ შემწყნარებლობათა, ევროპისა და აზიის საზღვარზე მტკიცედ მდებარე რეგიონი. ამიერ-

კავკასიის ფარგლებშია მოქცეული ის სამხრეთელი სივრცე, რომელიც მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთის ქართულ-ლაზურ ეთნოკულტურულ ზონას, რომლის შუაგულს საქართველო წარმოადგენს.

სწორედ ამიერკავკასიაზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი სავაჭრო-ეკონომიკური სატრანზიტო გზა, რომლითაც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში კოლხეთის სამეფო, რომლის ცივილიზაციით იწყება უძველესი სახელმწიფოებრიობის ჩასახვის 3000 წლოვანი ისტორია, დაკავშირებული იყო გარე სამყაროსთან.

ძველ აღმოსავლურ ხანაში სწორედ კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა წინა აზიის ქვეყნების კონტაქტი ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებთან. ასევე კავკასიასა და საქართველოზე გადიოდა ძველი სატრანზიტო ისტორიულად არსებული, სახმელეთო, საზღვაო, სამდინარო გზები და საკომუნიკაციო არხები აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სწორედ ამიერკავკასიაზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო გზა, დასავლურ, ბერძნულ-რომაულ სამყაროს,

ცენტრალურ და შორეულ აღმოსავლეთს შუა აზი-
ასთან და ინდოეთთან აკავშირებდა.

ანტიკურ ეპოქაშივე ბერძნული კოლონიზაციის
დროს (ძვ.წ.ად. VIII-VII სს.) შავი ზღვის სანაპიროზე
სხვადასხვა ფაქტორიების დაარსებამ მნიშვნელოვანი
წვლილი შეიტანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს
შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითა-
რებაში. სავაჭრო გზების არსებობამ აღმოსავ-
ლეთიდან შავი ზღვისაკენ, იქიდან კი აზიასა და
ხმელთაშუაზღვისაკენ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთი-
ერთობებს კავკასიის რეგიონში საერთაშორისო
მასშტაბი შესძინა.

ძვ.წ.ად. IV-III სს-დან ადრეულ პერიოდებთან
შედარებით ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხა-
სიათი მიიღო, ამ პერიოდიდან უკვე არსებობას
იწყებს დიდი სავაჭრო სატრანსპორტო გზა. ბერძენი
ისტორიკოსებისა და გეოგრაფების: პატროკლეს,
სტრაბონის, არისტობულეს, პლინიუსის, ვარონის,
ერასთენეს ცნობებით სატრანსპორტო გზა იწყებოდა
ინდოეთიდან. იგი შუა აზიიდან სანაოსნო იყო
მდინარე ოქსოსით – (ახლანდელი ამუდარია, იმ
ხანად კასპიის ზღვას ერთვის) კასპიის ზღვით,
შემდეგ მდინარე მტკვრით, სურამის უღელტეხილითა

და მდინარე ფაზისით (რიონ-ყვირილის მაგისტრალით) ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა, აღწევდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქ ფაზისთან და შავი ზღვით, მცირე აზიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა.

ქართლის სამეფოს აღწერისას ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. აღ. 64-63 ახ.წ.აღ. 23-24) მიუთითებს, რომ ერთი გზა შავი ზღვიდან მდინარე ფაზისის აყოლებით და ციხესიმაგრე სარაპანისზე გავლით შედის იბერიასა და მის დედაქალაქ მცხეთაში. მეორე, ალბანეთიდან შემოსასვლელი გზა კლდეშია გაჭრილი, ხოლო შემდეგ გადის ჭაობზე რომელსაც ქმნის მდინარე ალაზანოსი, მესამე გზა არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე. მეოთხე მაგისტრალი მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან დარიალისა და არაგვის ხეობით. ზემოთ აღნიშნული ოთხივე გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქში.

კოლხეთისა და მთლიანად შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნულმა კოლონიზაციამ და ახალშენების დაარსებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, საქართველოს დასავლეთი მხარის, შავი

ზღვისპირეთისა და მთლიანად ამ აუზში მცხოვრებ ხალხთა გარე სამყაროსთან ურთიერთობისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარების საქმეში.

შავიზღვისპირეთში არსებული ბერძნული ახალშენებიდან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ტონის მიმცემი იყო ფაზისი (ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), ჰიტიუნტი (ბიჭვინთა). ანტიკური ისტორიის მკვლევართა აზრით, ისინი არ წარმოადგენდნენ წმინდა ბერძნულ ქალაქებს და ერთგვარად „შერეულ ხასიათს“ ატარებდნენ.

ბერძნული სამოსახლოები იყვნენ არა დამოუკიდებელი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები (პოლისები), არამედ უცხო ქვეყანაში დაარსებული სავაჭრო ფაქტორიები, სავაჭრო მომმარაგებელი პუნქტები. მთავარი სავაჭრო ქალაქი ფაზისი ანუ ფოთი იყო. VI-V სს. ძვ.წ. აქ ბერძნებს ყველაზე ძლიერად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. იგი იყო კარგად გამაგრებული ნაესადგური, მკვლევართა ერთი ნაწილი მას ბერძნულ ქალაქად მიიჩნევს, მეორე – შერეული ტიპის ბერძნულ კოლხურ ქალაქად, მესამე – კოლხურ ქალაქად. სწორედ

ფაზისი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ სავაჭრო მაგისტრალზე. ანტიკურ ხანაში ხშირად ფაზისი და კოლხეთი ერთ ტოპონიმურ ცნებად აღიქმებოდა. მდინარე ფაზისით, ანუ რიონ-ყვირილის გზით, სავაჭრო საქონელი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნავდა, გარდა ამისა ინდური საქონელი მდინარე ამუდარიით ჩამოჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკერით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდინარე რიონით აღწევდა ფაზისამდე.

ამ გზის გამართულობაზე ბევრი უცხოელი მიუთითებს: სტრაბონისა და პლინიუსის მიხედვით მარტო რიონზე 120 გადასასვლელი ხიდი იყო.

ფაზისის შემდეგ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს და გარესამყაროსთან სარკმელს ქალაქი დიოსკურია (სოხუმი) წარმოადგენდა. ახ.წ. აღ. III საუკუნის ისტორიკოსი ტიმოსთენე როდოსელი აღნიშნავს, რომ „დიოსკურიაში სავაჭრო მიზნით ჩამოდიდნენ 300 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომთა წარმომადგენლები, სტრაბონს ეს ციფრი გადაჭარბებულად მიაჩნია, მისი ვარაუდით იქ 70 სხვადასხვა ეროვნების ვაჭარი იყრიდა თავს.

ზღვისპირა სამოსახლოების საშუალებით ხორციელდებოდა კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, საბერძნეთთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან, ბოსფორის სამეფოსთან. მკვლევართა აზრით ეს ურთიერთობები ორმხრივ ხასიათს ატარებდა.

კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსივობაზე გარე სამყაროსთან მიუთითებს ადრეანტიკური ხანის მონეტების არსებობის აღმოჩენა კოლხეთში.

ამიერკავკასია, რომ ჩართული იყო გარესამყაროსთან ეკონომიკურ ურთიერთობაში ამას ადასტურებს ახ.წ. აღ. IV საუკუნის მეორე ნახევრის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი „მსოფლიო საგზაო რუკა“, რომელიც ცნობილია Tabula Peutingeriana –ს სახელწოდებით.

აღნიშნული რუკის მიხედვით დასავლეთი დაკავშირებული იყო არტაშატთან, იბერიასთან, კავკასიონის ალბანეთთან და ეგრისის სამეფოებთან. სიმონ ჯანაშიას აზრით, ეს გზა ჩრდ. კავკასიაში გადიოდა. ქართულ წყაროებში ეს გზა „აფხაზეთის გზის“ სახელწოდებით არის ცნობილი, რომლითაც

ჩრდილო კავკასიიდან პირდაპირ შეიძლებოდა
გადმოსვლა დასავლეთ საქართველოში“.¹

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ქრისტიანულ ხანაშიც, ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნისთანავე და შემდგომ პერიოდზე VII ს. (ახ.წ.) ბერძნული მასალები გადმოგვცემენ. პეტრა-ბათომის გზით საქართველოს ბიზანტიასთან ურთიერთობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, ბიზანტიელი .ჟამთააღმწერელი, კარის ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი პროკოპი კესარიელი. მისი გადმოცემით პეტრა-ბათომი ისეთი პუნქტი იყო, რომ აქ იჯდა ბიზანტიის სტრატეგოსი, რომელიც სამხედრო საქმეების გარდა სავაჭრო საქმეებსაც განაგებდა.

პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს აგრეთვე იბერთა აღებ-მიცემობაზე ქალაქ დვინის საშუალებით. დვინი იყო სომხეთის ქალაქი და სამეფო რეზიდენციაც IV ს. აქ არსებობდა. შემდეგ იგი გახდა არაბთა საამიროს – არმენიის ცენტრი, რომელიც შემდგომ მონღოლებმა დაანგრეს. დვინი ისეთი ქვეყანაა, მიუთითებს პროკოპი, სადაც „მრავალი მჭიდროდ დასახლებული სოფელი გაშენებულა, ერთმანეთის მახლობლად და მრავალი ვაჭარი

ცხოვრობს იქ და ეწევა თავის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა სპარსეთში მოხეტიალე ტომთა და რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში ადებ-მიცემობას აწარმოებენ.“²

კიდევ უფრო მეტი, ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი და პოლიტიკოსი საქართველოში არსებულ თითქმის ყველა საეკონომიკურ გზებს იცნობენ, მათი წყაროების მიხედვით ამათ შორის აღნიშვნის ღირსია ჩრდ. კავკასიიდან იბერიის დედაქალაქისაკენ მიმავალი მარშრუტი. ჩრდილოეთის გზას (დღევანდელი სამხედრო გზა) სტრაბონის აღწერით 7 დღის მგზავრობა სჭირდება: 3 დღე თერგის ხეობით, ხოლო 4 არაგვის ხეობით, არაგვის ხეობა მცხეთასთან თავდება.

იმ საეკონომიკურ საგნებს შორის, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, იხსენიება კოლხური სელი, რომელსაც თავისი მაღალი ხარისხის გამო სარდონულს უწოდებდნენ, გარდა სელისა ხეტყეც შეადგენდა ექსპორტის საგანს.

პროკოპი კესარიელის მიხედვით ლაზეთიდან (ე.ი. კოლხეთიდან) ბერძნებს გაჰქონდათ ტყავი და

გაჰყავდათ მონები, რომელთა სანაცვლოდ შემოჰქონდათ მარილი, ხორბალი და სხვა. ხოლო რაც შეეხება აბრეშუმს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, აბრეშუმის ქსოვილები IX-ს-დან მოყოლებული თანდათან იკავენენ წამყვან ადგილს საქსპორტო საქონელში.

ბიზანტიამ მხოლოდ VII-ის მეორე ნახევარში შესძლო აბრეშუმის ჭიის გაცნობა, მანამდე კი უცხოეთიდან შემოჰქონდათ ნედლი აბრეშუმი, სწორედ ამიერკავკასიის რამდენიმე სავაჭრო-სატრანზიტო გზით ბიზანტიას შემოჰქონდა აბრეშუმი. შესაძლებელია ბიზანტიის მსგავსად საქართველოშიც არ სცოლნოდათ აბრეშუმის ჭიის კულტურა და შემოტანილი ნედლეულით შესაძლებელი ყოფილიყო აბრეშუმის ქსოვილის დამზადება. ზოგიერთ მკვლევართა მონაცემებით ანტიკური ევროპისათვის აბრეშუმი ცნობილი გახდა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კლავდიუს პტოლემაროსის ცნობით (ძვ.წ. აღ. II ს. ბერძენი ასტრონომი) რომაელი ვაჭრები ბაქტრიიდან მოდიოდნენ ჩრდილოეთით და ფერგანში ანუ ალაის ველზე ხედებოდნენ შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ სოგდიელ სოვდაგრებს. ამ ვაჭრობის უმთავრესი საგანთაგანი იყო აბრეშუმი. მეაბრეშუ-

მეობა ჩინეთიდან გავრცელდა შუა აზიაში, ირანსა და რომის იმპერიაში. ბიზანტიელ ავტორთა ცნობებით სოგდიაში VI-ში მეაბრეშუმეობამ განსაკუთრებულ დონეს მიაღწია, მას მაშინდელ მსოფლიო ბაზრებზე მეტოქეობას ირანული აბრეშუმი უწევდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეაბრეშუმეობის ძირითადად მისდევდნენ აღმოსავლეთსა და აზიაში, განსაკუთრებით ჩინეთსა და იაპონიაში, ევროპაში, მოგვიანებით კი იტალიაში. „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად“ წოდებული მაგისტრალი იწყებოდა ჩინეთში სინძიანში და ქ. დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ეს გზა ერთმანეთს უკავშირებდა ორ სამყაროს, დიდ ცივილიზაციებს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, რომლის შუაში საქართველო იყო. აბრეშუმის ეს გზა მართლაც იყო აბრეშუმისა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მიუხედავად ომების და არეულობისა ეს გზა მაინც მუშაობდა.

VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიასა და არაბეთის სახელმწიფოს შორის რთულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ ეკონომიკური ურთიერთობანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დროებით შეა-

ფერხა. IX საუკუნის II ნახევარში ეკონომიკური ურთიერთობანი კელაე განახლდა. არაბების კვალდაკვალ IX საუკუნიდან საქართველო „ჩრდილოეთის უზით“ დაუკავშირდა ჩრდ. კავკასიას, სამხრეთ რუსეთს. „ჩრდ. გზა“ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

პოლიტიკური თვალსაზრისით, „ჩრდილოეთის გზამ განასკვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული ფესვები“.³

XI საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ ხანებში სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან აქტიური ხასიათი მიიღო. საქართველო ვაჭრობდა არაბებთან, სპარსეთთან, სირიასთან, საბერძნეთთან; შემოჰქონდა და გაჰქონდა სხვადასხვა სახის მსუბუქი სამრეწველო პროდუქცია, საქართველო ვაჭრობდა მსოფლიოში აღიარებულ აღმოსავლეთის ისეთ სავაჭრო ცენტრებთან, როგორებიც იყო ბაღდადი, ალექსანდრია, თაერიზი და ბრუსა.

„გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს ისეთ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა,

როგორც ამას ადგილი ჰქონდა IX-XII საუკუნეებში, არასოდეს ისეთ ინტენსიურ კულტურულ ერთიერთობაში არ ყოფილა ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როგორც ეს იყო X-XII საუკუნეებში“, შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

XIII ს. პირველი ნახევრიდან, ამიერკავკასიაში მონღოლთა შემოსევებმა და მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი შეასუსტა, ხელოვნურად ჩაიკეტა ბუნებრივი სავაჭრო გზები. საქართველო დროის გარკვეულ მონაკვეთში მოსწყდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპას.

როდესაც სამიმოსვლო სავაჭრო გზებზეა ლაპარაკი უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიებზე სავაჭრო გზებს საქართველო კარგად აკონტროლებდა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ როდესაც თემურლენგი ბაღდადისა და თავრიზის აღების შემდეგ საქართველოსკენ წამოვიდა და დაბანაკდა შამქორში, საქართველოს მეფემ გიორგი VII-მ მას დესპანები აახლა, მოლაპარაკების შემდეგ გიორგი მეფის ძმამ კონსტანტინემ, რომელსაც მოლაპარაკება მიჰყავდა, დადეს ზავი,

რომლის პირობების თანახმად საქართველო კისრულობდა ვაღდებულებას, რომ იგი არ ჩაკეცავდა სამიმოსვლო და სავაჭრო გზებს. შამქორის ეს ზავი სხვა პირობების შესრულებასთან ერთად დადებული იქნა 1401 წელს.⁵

XIV საუკუნის II ნახევარში ოსმალების მიერ დარდანელის სრუტის გადალახვამ, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების უმრავლესობის დამორჩილებამ და 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებამ, ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას. შავი ზღვა ოსმალეთმა „დახურულ ტბად“ აქცია, რის გამოც საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა გარე სამყაროსაგან, იგი მოწყდა დასავლურ სამყაროს, სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი გადაიკეტა. ოსმალებმა იმ დროისათვის ვაჭრობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მქონე შავი ზღვა „თავის საკუთრებად“ აქციეს.

შავი ზღვის როლს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მის აუზში მოქცეული იყო ისეთი მდინარეები, როგორცაა: დუნაი, დნეპრი, დნესტრი, დონი, ამასთან შავი ზღვისაგან იზოლირება ნიშნავდა კასპიის ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზების ანულირებასა და მოწყვეტას.

შავი ზღვის აუზზე, დუნაი-ვოლგის არეალის უდიდეს მნიშვნელობაზე არა ერთხელ მიუთითებდნენ მეცნიერები და პოლიტიკოსები: მათი შეფასებით დუნაი და ვოლგა, ევროპის ორი გიგანტური მდინარე დნესტრი და დონი ქმნიან შინაგანი პროდუქტების ბუნებრივ არხებს შავ ზღვაზე გადაზიდვისათვის; ჩვენ ვამბობთ შავ ზღვაზე, რადგან კასპიის ზღვამდე მისვლა შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის საშუალებით. ევროპის ორი მესამედი ე.ი. გერმანიისა და პოლონეთის ნაწილები და ყველა ამას გარდა, თურქეთის მთელი ევროპული ნაწილი თავის ექსპორტსა და პროდუქტების გაცვლის მხრივ ბუნებრივად იყვნენ დაკავშირებული შავ ზღვასთან. XVI საუკუნეში შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში არსებულმა მდგომარეობამ საქართველო ახალი ეკონომიკური კავშირურთიერთობების არხზე გაიყვანა. გაიხსნა ჩრდილოეთთან, რუსეთთან და შემდეგ ევროპასთან დამაკავშირებელი ახალი მაგისტრალი – ვოლგა ასტრახანის სანავიგაციო გზა, რომელიც ირანსა და საქართველოს მოსკოვთან აკავშირებდა.

XVI საუკუნის II ნახევარში თურქეთის სერიოზულმა სამხედრო დამარცხებებმა ხმელეთზე

რუსეთთან, ასევე ზღვაზე ესპანეთ-ვენეციის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაპანტოსთან 1571 წელს, ასევე რუსეთ-თურქეთის პირველმა ომმა 1768 წელს, რუსეთ-თურქეთის მეორე ომმა, რომელიც დაიწყო 1787 წელს და 1791 წ. იასის საზავო ხელშეკრულებით მისმა დამთავრებამ, განაპირობა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვა და თურქეთის გავლენის მნიშვნელოვანი შესუსტება შავი ზღვის აუზის რეგიონში.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადებით დასრულდა, რომლის თანახმად შავ ზღვაზე, მდინარე დუნაიზე და დარდანელის სრუტეზე გემების სათვის მოძრაობა თავისუფალი გახდა. თურქეთმა დაკარგა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი. უფრო მოგვიანებით XIX საუკუნეში თურქეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად იძულებული გახდა დაქვემდებარებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამრიგად, საქართველოსათვის ერთბაშად ხელოვნურად ჩაკეტილი ბუნებრივი დერეფანი აღდგა. XVII-XVIII საუკუნეებში საქართველომ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური ინ-

ტერკსები რუსეთზე გამავალ სავაჭრო გზებზე გადაიტანა.

XVII-XVIII საუკუნეებში ირან-საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირი უფრო აშკარა და გამოკვეთილი ხდება, აღმოსავლეთის ქვეყნებთან მნიშვნელოვანია თბილისის როლიც, „თბილისი ამიერკავკასიის სავაჭრო გზებით აქტიურად იყო ჩაბმული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ოპერაციებში.

ირანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობები ორმხრივი ხასიათისა იყო. ირანში საქართველოდან გადიოდა ნედლი აბრეშუმი, გაჰქონდათ ღვინო, შარდენის ცნობით: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ. ისევე როგორც კოლხეთში, აქაც ვაზები ხეებზეა გაშენებული. მეფეთა სასმელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისპაჰანში, ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წინათ 300 ფუტს უდრის, მხოლოდ რვა ფრანკი ღირს, მე ვლავარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგან ჩვეულებრივ საშუალო ღვინოს ამის ნახევარი ფასი აქვს“. გარდა აღნიშ-

ნულისა ექსპორტის საგანს შეადგენდა ხილი, ნიგოხი, კახური ცხენები. დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან ქუთაისს ირანთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობების მიხედვით: „ქუთაისი კარგი ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე სდგას, სადაც ყოველი მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით. მთებიდან ჩამოდიან სევანები, რომელთაც ჩამოაქვთ შინაური ნაწარმები, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებსა და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართლები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირუფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებლები... სომხებს ქუთაისში სახლები აქვთ, ისენი დადიან თურქეთში, ირანში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი. აღმოსავლეთ საქართველოში თბილისის შემდეგ ირანთან სეროზულ ურთიერთობას აწარმოებდა ქალაქი გორი. საქართველოს XVII-XVIII საუკუნეებში მიუხედავად რთული პოლიტიკური მდგომარეობისა, ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ ცნობებს გვაწვდიან: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე

მილანელი, არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, აღნიშნული ავტორების ცნობებით თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ აბრეშუმის დრაპი, მატყლი, მარილი, რკინა და ბრინჯი. საქართველოდან თურქეთში გაჰქონდათ კანაფი, თაფლი, ცვილი, ხამი აბრეშუმი, ხარის, კეერნას და წავის ტყავები, ხეები (ბზის ხეები) გაჰყავდათ ტყვეები.

უნდა აღნიშნოს, რომ დასაყვეთ საქართველოს აქტიურობა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში არ იყო ამ დროისათვის ინტენსიური, რადგან ის ეკონომიკურად არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.⁷

XVI საუკუნეში თურქეთის პოზიციების გაძლიერება კავკასიაში რუსეთის ინტერესებს ლახავდა, საფრთხის ქვეშ აყენებდა რუსეთ-ირანის სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებს. რუსეთის მთავრობა ცდილობდა მოესპო თურქეთის გავლენა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში და იქ შეეძინა თავისი მოკავშირეები. სწორედ ასეთ პირობებში მოხდა კახეთ-რუსეთის პოლიტიკური კავშირის აღდგენა. ჩრდილოეთთან, რუსეთთან და შემდგომ ევროპასთან დამაკავშირებელმა ახალმა მაგისტრალმა – ვოლგა-ასტრახანის სამდინარო გზამ, რომელიც ამიერ-

აკასიის ქვეყნებს და ირანს მოსკოვთან აკავშირებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ახალი რეალიები წარმოაჩინა.

კახეთი ასტრახანისკენ მიმავალ გზებთან შედარებით ახლოს აღმოჩნდა ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეები. კახეთი წარმატებულად იყო ჩაბმული შაქი-შირვანის მეშვეობით აბრეშუმის საერთაშორისო ვაჭრობაში. ყველაზე მოკლე გზა, კახეთიდან ასტრახანისაკენ მიმავალი, დადესტანსაშამხალს ტერიტორიაზე გადიოდა.

რუსეთსა და კახეთის საგარეო პოლიტიკის თანმიხვედრმა ინტერესებმა შექმნა მათი დაახლოვების საკმაო საფუძველი. რუსეთი ირანთან, კახეთთან და კავკასიის სხვა ხალხებთან ურთიერთობითა და კავშირით თავისი სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრების დაცვასა და გავლენის სფეროების გაფართოებას ცდილობდა. კახეთს კი რუსეთი საგარეო პოლიტიკის უსაფრთხოებისათვის სჭირდებოდა.

რუსეთმა ამიერკავკასიაში, საქართველოში, კახეთში ფეხის მოსაკიდებლად ნიადაგი მოსინჯა და 1585 წელს სპეციალური დავალებით დანილოვი გამოაგზავნა. მას დავალებული ჰქონდა საქართველოსა და მისკენ მიმავალი გზების შესწავლა.

დანილოვმა კახეთის მეფეს ალექსანდრეს რუსეთის მეფის თვედორე ივანეს ძის სიგელი ჩამოუტანა, რომლითაც მას რუსეთის მეფე მფარველობასა და პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა. XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთსა და საქართველოს შორის ინტენსიური ურთიერთობა არსებობდა. დარიალის გზის გახსნამ საქართველოს ქალაქები უფრო დააკავშირა რუსეთთან. როდესაც ა. დიუმა კავკასიონს ეხება აღნიშნავს, რომ „ამ ვებერთელა მანძილზე ბუნებას მხოლოდ ორი გასავალი გააჩნია: დარიალის ხეობა (Pylae Caucasiae pliniususa), რომელიც ცნობილია, აგრეთვე კავკასიის კარის, სარმატების კარის, კასპიის კარის, ალბანთა კარის, რკინის კარის და ჯაჭვის კარის .სახელწოდებით და დარუბანდის ხეობა, რომელსაც ტრადიციის თანახმად უწოდებენ ალექსანდრეს კარს“.⁸

სახელმწოდება დარიალი წარმოდგება სპარსული რადიალისაგან (ალანთა კარი) ძვ. ქართულ და უცხოურ წყაროებში იხსენიება, როგორც დარიალიანი, არაგვის კარი, იბერიის კარი.

ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ამიერკავკასიისა და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი გზა, საქართველოს, რომის იმპერიის, არაბთა

სახალიფოსა და ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დარიალის ხეობაზე ბატონობას. გადმოცემით პირველი ციხესიმაგრე აქ ჩრდ. კავკასიელ ტომთა თავდასხმების მოსაგერიებლად იბერიის მეფე ფარსმან I-ს აუშენებია (ძვ.წ.ად. III ს.) შემდგომში ვახტანგ გორგასალმა აღადგინა ეს ძველი ციხესიმაგრე, დავით აღმაშენებელმა კი იგი განაახლა (დარიალის ციხესიმაგრე). XVIII ს-ში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებმა დარიალის გზის მნიშვნელობა გაზარდა.

დარიალის გზით რუსეთსა და ჩრდ. კავკასიიდან იწყეს მიმოსვლა სავაჭრო ქარავანებმა „ოსეთის გზა“ ანუ „ასტრახანის გზა“ თანდათანობით ხდება მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს ქალაქებს აკავშირებდა რუსეთთან. ამ გზით „ქართველ ვაჭრებს“ საქონელი მოჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან.

ქართული ახალშენების გაჩენამ ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში, განსაკუთრებით ყიზლარში, მოზდოკში, აქტიური როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეში. აღნიშნული ახალშენები ორ სახელმწიფოს შორის შუამავლის

როლში გამოდიოდნენ. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატმა რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობანი უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირურთიერთობებმა ვაჭრობაში ჩართო თბილისელი, გორელი, ქუთაისელი, ანანურელი, დუშელი ვაჭრები. მათ საშუალება მიეცათ რუსეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობის ევროპული საქონელი შემოეტანათ და რუსეთის საშუალებით ევროპის ბაზარს დაკავშირებოდნენ. ტრაქტატში მითითებულია რომ: „ვაჭრობასა და ქართლსა და კახეთისას აქვს თავისუფლებანი, რათა განაეაჭროს სავაჭროდ თვისი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ“ ქართველ ვაჭრებს რუსეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება და რუსი ვაჭრებისათვის დაწესებული შეღავათები ეძლეოდათ. ჩრდილოეთის გზას ანუ „დარიალის გზის უსაფრთხოებაზე“ თავიდანვე ზრუნვდნენ ქართლ-კახეთის უმაღლესი სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები და ამასვე მოითხოვდნენ ისინი რუსეთის ხელისუფლების ეშელონებისაგან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით დარიალის გზით სავაჭრო ოპერაციების წარმოება საბაჟო შეღავათებით სარგებლობდა. თავიდანვე „ქართველი ვაჭრების“ ძირითად სავაჭრო არეალს წარმოადგენდა ასტრახანი, ყიზლარი და მოზდოკი შემდგომში ეს არეალი უფრო გაფართოვდა.

XIX საუკუნეში საქართველოში საგარეო სავაჭრო ეკონომიკური კავშირურთიერთობანი კვლავ აღორძინდა და იგი გახდა კაპიტალისტური წარმოების წესის გაბატონების ისტორიული წინაპირობა. XIX საუკუნეშიც ეკონომიკური კავშირურთიერთობები საქართველოს არ გაუწყვეტია საზღვარგარეთის ქვეყნებთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მან ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა.

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებს როცა ვეხებით საინტერესოა 1816 წ. რუსეთის ფინანსთა მინისტრის რუმიანცევის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის შესახებ გაკეთებული შენიშვნები. იგი აღნიშნავს, რომ ახლანდელი ზოგიერთი სომეხი და ქართველი ვაჭარი ნამყოფია ინდოეთის სხვადასხვა ადგილებში და

კალკუტაშიც, საჭიროა ვიცოდეთ მათ მიერ იქ წარმოებული ვაჭრობის შესახებ, სად როგორი მეგობრობით ხვდებოდნენ მათ, როგორაა განწყობილი იქაური ხალხი ინგლისელებისადმი... უნდა ვიცოდეთ თუ რა სარგებლობას ნახავს რუსეთი იქ. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთის სავაჭრო კაპიტალი თუ როგორ მიისწრაფოდა დაეპყრო აღმოსავლეთის და მათ შორის ინდოეთის ბაზრები. აკად. პ. გუგუშვილის აზრით. რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი, როდესაც ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს წერდა, არ შეიძლებოდა ხელთ არ ჰქონოდა წიგნი, რიმელიც 1815 წ. გამოიცა. ეს იყო რაფიელ დანიბეგაშვილის თხზულება: „Путешествие в индию, Грузинского дворянина Рафиела Данибегова“, „მოგზაურობა ინდოეთში“, რომელიც თვით ავტორის მიერ რუსულად თარგმნილია და დაბეჭდილია მოსკოვში.¹⁰

რაფიელ დანიბეგაშვილი ერეკლე II-ს სპეციალური დავალებით მიუვლინებია ინდოეთში ქ. მადრასში. რ. დანიბეგაშვილმა იქეთ და აქეთ მოგზაურობას 18 წელი მოანდომა, მადრასში მან ცოცხალს ვერ ჩაუსწრო ვისთანაც მიდიოდა, ხოლო დაბრუნებულმა ვერ ჩამოუსწრო ერეკლე II-ს.

შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო, დანიბეგაშვილს საქართველოს მეფის ნაცვლად იღებს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. „ინდოეთში მოგზაურობის“ დაწერის იდეაც ზოგიერთის ვარაუდით ალბათ მას მოსკოვში ჩააგონეს.

აღნიშნულ თხზულებაში მოკლედ აღწერილია რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის მარშრუტები და მარშრუტებზე მცხოვრებ ხალხთა თავისებურებანი.

თბილისიდან გასულმა დანიბეგაშვილმა გაიარა ქ. ახალციხე, არზრუმი, შუში, არანგი, ფალი, (მდინარე ტიგროსზე), მერდინი, ტიგრანაკერტი, ნინეკია, ბაბილონი, (ბაღდადი), ბაერი, მასკატი, ბომბეი, კოლუმბია, ბონდოჩერი, ტრაპერი, მადრასი. აქედან მოყოლებული გამოიარა ქალაქები: რანხუნი, კოლკადუ, ბარახ-კაანი, სირამპურა, ჩიჩრა, მუნკირი, აზიმაბადი, მერედი, დელი, სირინამორი, ფადინკური, ლახორი, ფარი, ქაშმირი, საიდანაც მიდის ტიბეტში, მერე იარკანტში, ახსუსა და სემიპალატინსკში (ციმბირში); „ბოლოს როგორც იქნა ველირსე მოსკოვის ნახვასო“.¹¹

რ. დანიბეგაშვილის მიერ აღწერილია გზები, ტრანსპორტის საშუალებები, ვაჭრობა, ვაჭრობის საგნები. ნაშრომი ძირითადად წარმოადგენს კომერ-

ციული აგენტის მიერ შესრულებულ მოკლე მოხსენებას თავისი სამივლინებო მოღვაწეობის შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ინდოეთში.

რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის მიზანი ყოველთვის იყო საქართველო ჩათვლით თავის სავაჭრო ორბიტაში, ქართველი ვაჭრები გადაექცია რუს მსხვილ ვაჭართა აგენტებად, ამით ხელთ ჩაეგდო ამიერკავკასიისა და საქართველოს ბაზრები, განემტკიცებინა იქ თავისი პოზიციები, ხოლო შემდგომ გზა გაეკაფა თურქეთის, ირანისა და ინდოეთის ბაზრებისაკენ.

ამ მხრივ საქართველო ხელსაყრელი სატრანზიტო რეგიონი გახდა რუსეთისათვის. რუსეთი საქართველოს ანექსიამდეც ცდილობდა მთელი თავისი გავლენა გამოეყენებინა საქართველოში რათა გაბატონებული მდგომარეობა შეექმნა რუსი ვაჭრებისათვის აღმოსავლეთის ბაზარზე. XIX ს. დასაწყისში შავი ზღვის მონაკვეთის საქართველოს ტერიტორიაზე კონტროლის დაწესებას ცარიზმი ამართლებდა აქ გავრცელებული ტყვეებით ვაჭრობისწინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით, რომ უცარიზმოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმო-

მადგენლები უძალურნი იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ, აღეკვეთათ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობა.

რუსეთი საქართველოს გზით აწარმოებდა მნიშვნელოვან ტრანზიტულ ვაჭრობას შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდების მიზნით მდინარე ხობისწყლის შესართავში, ახლანდელ სოფელ ყულევში (ხობის რ-ნი). 1804 წელს რუსეთმა დააარსა ნავსადგური რედუტ-კალე (რუსულად) ქემ-კალე (თურქულად) აქ რუსთა ჯარები განლაგდნენ და რედუტი მოაწყვეს. ეს ადგილი დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსთა ჯარების მთავარ სასურსათო ბაზად იქცა. ფოთი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იმყოფებოდა. რედუტ-კალე შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი ნავსადგური იყო, საიდანაც ამიერკავკასიაში ევროპული საქონელი შემოდის. ევროპელ ნეგიციანტებს უცხოეთის გემებით საქონელი მოჰქონდათ ოდესაში, იქიდან კი რედუტ-კალეში ე.ი. ყულევში. 1928 წ. რუსეთის ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანებულებით შავ ზღვაზე ოდესას და რედუტ-კალეს შორის ცურვის სათვის ინიშნება ორი ორთქლის გემი, რათა გაადვილებულ იქნას სავაჭრო კავშირგაბმულობა და მიმოსვლა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის.

ყულევს რუსეთისათვის შავ ზღვაზე ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობაც. იგი წარმოადგენდა ერთადერთ ნავსადგურს შავ ზღვაზე, საიდანაც საქართველოში რუსეთის ჯარს შეეძლო სამხრეთ რუსეთიდან ყოველგვარი დახმარების მიღება. მიუხედავად სახელმწიფოებრივი დანაწევრებისა, XIX ს-ის გარკვეულ პერიოდში საქართველო აქტიურად იყო ჩაბმული საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობებში. ფრანგი ნეგიციანტი (დიდი ვაჭარი და სოვდაგარი) უაკ ფრანსუა გამბამ, (საფრანგეთის კონსული თბილისში 1817-1818 წ.წ.) იმოგზაურა სამხრეთ რუსეთში. შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, იგი ზრუნავდა ფრანგი და სხვა ევროპელი ვაჭრების მოზიდვისათვის. 1824-1826 წ. პარიზში გამოაქვეყნა ნაშრომი „Vayades dans Russia meridionale“ ორ ტომად, სადაც ერთი თავი მიძღვნილია საქართველოსა და ამიერკავკასიის ტრანზიტის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებზე. გამბა აღნიშნავს „ჩემს რწმენას შორეულ აღმოსავლეთთან ევროპული ვაჭრობის ამიერკავკასიის მეშვეობით წარმოების მოსალოდნელ წარმატებაში საფუძვლად ედვა არა მჩატე მოსაზრება ფრანგისა, არამედ დადებითი მონაცემები. საკმარისია დავხედოთ დედამიწის

რუკას, რათა დავინახოთ, რომ პირდაპირი ხაზი, გაყვანილი ევროპის ტერიტორიიდან, პარიზიდან ინდოეთის ცენტრამდე, კალკუტამდე ამიერკავკასიაზე გაიმართება. ბუნების კანონი გარდუეალია. პირდაპირი ხაზი ორ წერტილს შორის არის უმოკლესი და სავაჭრო გზაც ევროპასა და ინდოეთს შორის, მწარმოებელსა და მომხმარებელ ქვეყნებს შორის ადრეთუ გვიან აუცილებლად უნდა წავიდეს ამ სწორი ხაზით“.12

XIX ს. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია. საქართველო მტკიცედ ებმება მსოფლიო საქონელბრუნვაში. XIX ს. 80-იანი წლებიდან საქართველოს ექსპორტის ღირებულება იზრდება. ექსპორტი ბევრად აღემატება იმპორტს. იწყება მარგანეცისა და სიმინდის ინტენსიური გატანა საზღვარგარეთ. ამ პერიოდში ევროპიდან საქართველოში შემოდის ამერიკული ბამბა, შალის, აბრეშუმის, ტილოსა და სელის ქსოვილები, ფოლადი და ფოლადის ნაკეთობანი, მაგარი სასმელები, შაქარი, ჩაი, მინა და მინის ნაწარმი, ასანთი, ზეთი. XIX ს. 80-იან წლებში ევროპიდან საქართველოში შემოტანილი

საქონლის საშუალო წლიური ღირებულება 2 მილიონ მანეთს შეადგენდა.

XX ს. დასაწყისისათვის ეს ციფრი მკვეთრად გაიზარდა. იზრდებოდა რუსეთიდან შემოტანილი საქონლის ხვედრითი წილიც, რომლის გარკვეული რაოდენობა სპარსეთში გადიოდა. ამიერკავკასიაში სიმინდის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოჰყავდათ დასავლეთ საქართველოში. მთელს საქართველოში XX ს. 20-იან წლებში ყოველგვარი პურეულით დათესილი ფართობებიდან სიმინდის ყანაზე მოდიოდა 57%. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის მარცვ-ლეული ფოთიდან თურქეთში გაჰქონდათ ბერძნებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში სიმინდი ფოთის ნავსადგურიდან გაჰქონდათ, სადაც საზღვარგარეთული ფირმების რამდენიმე კანტორა არსებობდა.

XIX ს. 90-იანი წლების ბოლოსათვის საქართველო მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობას იღებდა მეფრინველეობის პროდუქციის გატანითაც. ამიერკავასიიდან, ქუთაისის გუბერნიიდან, ქათმის კვერცხი გაჰქონდათ ევროპის ისეთ დიდ სამრეწველო ცენტ-

რებში, როგორცაა ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, პარიზი, ლონდონი.

1898-1900წწ. ბათუმსა და ფოთში ჩნდებიან უცხოეთის საექსპორტო ფირმების აგენტები, რომლებიც ეწევიან კვერცხის ბითუმად შექმნას და საზღვარგარეთ გატანას. აღსანიშნავია ფირმა „ჰაინრიხ მარგულესი“.

XXს. 90-იან წლებში საექსპორტო საქონელს აბრეშუმის ნედლეულიც შეადგენდა. ამ პერიოდისათვის ამიერკავკასიიდან გატანილი აბრეშუმის ნედლეულში საქართველოს წილიც მნიშვნელოვანი იყო.

XIXს. ბოლოსათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარგანეცის გატანას, რომელსაც ძირითადად იყენებდნენ შავ მეტალურგიაში და რომლის მდიდარი მადნების მოპოვება 1879წ. დაიწყო ჭიათურაში. 1990 წელს მისმა გატანამ საზღვარგარეთ 40 363 492 ფუტი შეადგინა. საქართველოს მეღვინეობის სასაქონლო პროდუქციას ამიერკავკასიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ეკავა. გატანილი პროდუქციის დიდი ხვედრითი წილი სწორედ საქართველოზე მოდიოდა. 1888 წლიდან თბილისში მუშაობდა კონიაკის ქარხანა, ასევე მწყობრში ჩადგა ლიქიორის ქარ-

ხანაც. ამ საქმის მოამბავს და თავკაცს დ. სარაჯიშვილს, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში გააჩნდა ღვინის საწყობები.

როგორც XIX ს. ბოლოს, ისე XX ს. დასაწყისში ქართულმა ღვინის პროდუქციამ გარკვეულწილად პრივილეგირებული მდგომარეობა მიიღო რუსეთის ბაზარზე.

XIX ს. რუსეთის ცარიზმი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყოველნაირად ცდილობდა, რომ მის მიერ ამიერკავკასიაში წარმოებულ ანექსიურ პოლიტიკაში არ ჩარეულიყო დასავლეთის სახელმწიფოები. რუსეთმა ამიერკავკასია გაითავისა. შემოიტანა კოლონიური მართვისა და ექსპლუატაციის უსასტიკესი მეთოდები. რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიასა და საქართველოში ძირითადად იქითკენ იყო მიმართული, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები და ბერკეტები თვითონ ჩაეგდო ხელში, საგარეო ვაჭრობა თავის კონტროლზე აეყვანა, რადგან სავაჭრო მონოპოლიის არსებობა რუსეთის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში ხელ-ფეხს უხსნიდა პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად.

საქართველოს გეოპოლიტიკურმა სივრცემ XIX ს.-ში თავი შეჰკყო რუსულ „ხაფანგში“. საქართველოს პოლიტიკური სტატუსი კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა რუსეთზე. იგი რუსული შიდა პოლიტიკის ობიექტად იქცა. რუსეთმა კავკასიის უძველესი სახელმწიფოს – საქართველოს დაპყრობით, საქართველო და მთლიანად კავკასია გარე სამყაროს მოწყვიტა და გარიყა მსოფლიო პოლიტიკიდან. ამრიგად კავკასიის რეგიონზე დომინირებისათვის შესახელმწიფოების „დიდი თამაშები“ XVIII საუკუნის ბოლოსა და მთლიანად XIX საუკუნეში რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. საქართველო მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა გამო ამ პერიოდს მოუმზადებელი შეხედა. ამიერკავკასიის ყოველთვის გამოირჩეოდა სამხედრო-სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური თავისებურებებითა და მნიშვნელობით, იგი გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პროცესებთან მიმართებაში ყოველთვის იყო დინამიურად სწრაფად ცვალებადი მხარე.

6. ნიკოლაძე და ნოე ჟორდანიას ერთ-ერთი პირველი ქართველი პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებმაც გააანალიზეს ამიერკავკასიის გეოპო-

ლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა: „გახედეთ ამიერკავკასიის ქარტას აი, ზღვის გზა, რომელიც მიდის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს გზა გაივლის გიბრალტარს, დარდანელს, ბოსფორს, გადაჭრის შავ ზღვას და მიაღწევს უკანასკნელ პუნქტს – ბათუმს. ამ გზის ბუნებრივი გაგრძელებაა ამიერკავკასიის მაგისტრალი, რომელიც აერთებს შავ ზღვას კასპიის ზღვასთან. საქართველოზე გადის ერთადერთი გზა, რომლითაც ბაქოს ნავთს შეუძლია მსოფლიოს ბაზარზე გავიდეს“ აღნიშნავდა ნოე უორდანიანი თავის ინტერვიუში ამერიკაში გამომავალი გაზეთის „ჩიკაგო ტრიბუნის“ ფურცლებზე.

ასეთი საკვანძო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობის უპირატესობანი, სანამ საქართველო რუსეთისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში იყო არასოდეს ყოფილა ბოლომდე რეალიზებული. საქართველო და ქართველი ერი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ორგანული ნაწილი მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, გარედან ინსპირირებული კონფლიქტებისა, ცდილობს აღიდგინოს თავისი უნიკალური ისტორიული ფუნქცია და

თამამად ჩაებას დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში.

თავი II

საქართველო შავი ზღვის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში

შავი ზღვის აუზი ევრაზიის შემკვერელია. იგი ერთმანეთთან აახლოებს ბულგარეთს, რუმინეთს, რუსეთს, უკრაინას, საქართველოსა და თურქეთს. ევრაზიის შემაერთებელი ეს საზღვაო-სახმელეთო გზა ყველაზე მოკლე და მოხერხებულია. შავი ზღვის აუზის არეალის მოსახლეობა 30 მილიონს აჭარბებს.

შავი ზღვის ფართობი 420 525 კმ² –ია. იგი აზოვის

ზღვასთან ერთად წარმოადგენს ღრმა ქვა-ბულს.

შავი ზღვის პარამეტრებია:

მდებარეობა ჩ. გ. 41⁰ -46⁰ –ს შორის;

მაქსიმალური სიგრძე – 1150 კმ (პარალელზე);

მაქსიმალური სიგანე – 580 კმ (მერიდიანზე);

მინიმალური სიგანე – 265კმ;

წყლის მოცულობა – 537 000 კმ²

სანაპირო ხაზის სიგრძე – 3400 კმ (მისი 9%
მოდის საქართველოსე);

წყლის ტემპერატურა ზამთარში – +9 +11⁰ C

წყლის ტემპერატურა ზაფხულში – +24 +26⁰ C

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში იყო მცდელობა, რომ ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგია მიმართული ყოფილიყო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის მაქსიმალური გამოყენებისაკენ, რაც სატრანზიტო რესურსების ინტენსიურ დატვირთვას გულისხმობდა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის შემდეგ საქართველოს არსებულ ვითარებაში ეკონომიკური განვითარების კარგი პერსპექტივები გაჩნდა. ბისეკის (BSEC) ფარგლებში საქართველო შეეცადა მოეზიდა ინვესტიციები ისეთი დარგების განვითარებისათვის როგორცაა ნავსადგურების გაფართოება – მშენებლობა, ნავთობის ტრანზიტი, ნავთობპროდუქტების ტერმინალებისა და გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე შავი ზღვის აუზმა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან

საერთაშორისო თანამეგობრობაში ახალი დატვირთვა მიიღო.

XX საუკუნეში საქართველო უმძიმეს სოციალურ ექსპერიმენტში მონაწილე აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი 90-იანი წლებში დასრულდა.

„გერძნობდი, სსრ კავშირის დაშლა გარდაუვალი იყო, თუმცა მეგონა, რომ ეს ათიოდე წლის შემდეგ მოხდებოდა, თანდათან, ეტაპობრივად, რეალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბების გზით. 1984წ. გორბაჩოვს ვუთხარი ბიჭვინთაში, ყველაფერი ჩალპა და დასანგრევია მეთქი. ყველაფერი შინაგანმა კანონზომიერებამ განსაზღვრა“ აღნიშნავდა ე. შვეარდნაძე.¹

1985 წ. საბჭოთა კავშირის პარტიულ ხელმძღვანელობაში მოსული გუნდი მიხეილ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით დემოკრატიზაციის პოზიციებზე იდგა, მან თავისი სახელმწიფოს მმართველი გუნდით განიზრახა სოციალიზმის დეფორმირებული მოდელის მოდერნიზება, ყოველივე ეს სოციალ-ეკონომიკური და კულტურული რეფორმებით დაიწყო. ეს ის პერიოდი, რომელსაც მსოფლიო „პერესტროიკის“ სახელით იცნობს.

გარდაქმნის - „პერესტროიკის“ ბოლებმა, ანუ 80-იანი წლების ახლებურად მოაზროვნე საბჭოთა ხელისუფლებამ ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაყოფილ მსოფლიოში იდეოლოგიური და სხვა ზღუდეების მოშლა დაიწყო. დროის შესაბამისად ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფერო გაეთავისუფლებინათ იდეოლოგიზირებული მდგომარეობისაგან და მსოფლიოს განვითარების კანონზომიერებანი გადაეტანათ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემაში. ეს იყო გარდაუვალი პროცესი. გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზმა ისინი გერმანიის გაერთიანებამდე მიიყვანა. ყოველგვარი მანკიერებისაგან გაწმენდილი სოციალიზმი თეორიულ გააზრებად დარჩა, გარდაქმნის ახალმა აზროვნებამ დააჩქარა კომუნისტური მმართველობის დამხობა და სოციალისტური სისტემის დაშლა.

საბჭოთა კავშირის დაშლა, მისი დეზინტეგრაცია, რომელიდა ფინალური აკორდი დასაველეთ ნახევარსფეროს სწრაფად აღზევების პროცესების.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მიერ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსაველეთ ევროპაში

მიმდინარე მოვლენების შეფასების შესახებ არსებობდა საიდუმლო მასალა, რომელიც გამოქვეყნდა. იგი წარმოადგენს „ცივი ომის“ ბოლო სამი წლის პერიოდის მოვლენების 400 გვერდიანი საიდუმლო ანალიზის (1988წ. ნოემბრიდან 1991წ. დეკემბრამდე, როდესაც სსრკ-მ არსებობა შეწყვიტა) მოკლე შინაარსს.²

1990წ. ნოემბერში ცსს მიერ პრეზიდენტ ბჟუშისა და პენტაგონისათვის მომზადებულ საიდუმლო ანალიზში იმდროისათვის საბჭოთა კავშირში მოვლენათა განვითარების ოთხი შესაძლო ვარიანტი გამოიყო, თითოეულ მათგანს თავისი ანალიზი და შეფასება მიეცა. ყველაზე სავარაუდოდ ცსს-ს სცენარი - „გაუარესება, მაგრამ არა ანარქია“ მიიჩნია.

ცსს მოსაზრებით ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდებოდა, შესუსტდებოდა კრემლის ძალაუფლება, რესპუბლიკები ორმხრივად მისაღებ ურთიერთობებს დაამკვიდრებდნენ, ახალი დემოკრატიულად არჩეული ლიდერები კი არაეფექტურნი აღმოჩნდებოდნენ. დანარჩენი სამი ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნიეს.

„რა სცენარიც არ უნდა გათამაშდეს სსრკ მომავალი წლის განმავლობაში შიდა პრობლემებზე

ორიენტირებული დარჩება და სუპერძალის როლის შესრულება გაუჭირდება“³ ასეთი იყო ცსს-ს ლოგიკური დასკვნა. შემდგომ წლებში მოვლენათა განვითარებამ ასეთი სახე მიიღო: საბჭოთა რესპუბლიკებმა ერთმანეთის მიყოლებით ყველამ (თოთხმეტივემ) სასტარტო სიგნალისთანვე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ცსს ანალიტიკოსთა მოსაზრებით გორბაჩოვმა ისეთი ძალები წაახალისა, რომლის კონტროლის უნარიც მას არ შესწევდა. დასაყვლეთი იმდენად შეაშფოთა გორბაჩოვის უსაფრთხოების საკითხმა, რომ 1991წ. 20 ივნისს გადატრიალების მცდელობის შესახებ ბუშმა შეატყობინა, მაგრამ როგორც ახლადგამოქვეყნებული მასალები ცხადყოფდნენ მან ეს არაფრად ჩააგდო. აგვისტოში გადატრიალება მოხდა, გადატრიალების შემდეგ მან მოვლენათა კონტროლის უნარი დაკარგა, 1991წ. 25 დეკემბერს იგი გადადგა და 1991წ. 31 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

სსრ კავშირის დაშლა ექსპერტთა აზრით განპირობებული იყო ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორცაა:

ა. საბჭოთა სისტემის ძალადობრივი ხასიათი, რაც ძალადობაზე და სხვებისათვის გადაწყვეტილებების ძალით თავს მოხვევაზე იყო დაფუძნებული. არ არსებობდა კონსენსუსი საბჭოთა თანამეგობრობასთან. გადაწყვეტილებების მიღება არ ხდებოდა კონსენსუსის საფუძველზე.

ბ. საბჭოთა სისტემა იყო არაჰომოგენური. დასავლეთის ცხოვრების წესი ემყარებოდა სამოქალაქო საზოგადოებას და საბაზრო ეკონომიკას. საბჭოთა სისტემა მექანიკურ კონგლომერატსა და შეკოწიწებულ მექანიზმს წარმოადგენდა. საბჭოთა სისტემა ძალით იყო ინტეგრირებული.

გ. ექსტენსიურობამ გამოფიტა საბჭოთა იმპერია. საბჭოთა კავშირში სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება ხდებოდა არა სამოქალაქო სექტორების პარალელურად, არამედ იზოლირებულად, საბჭოთა იმპერია დიდ რესურსებს ხარჯავდა ექსტენსიური ხასიათის პროექტებში, როგორც იყო ყამირი, ციმბირის მდინარეების და შუა აზიის განვითარების უაზრო პროექტები.

დ. საბჭოთა კავშირს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი ბუნებრივი რესურსი გააჩნდა, მისი

ათვისების დონე ძალიან დაბალი იყო, რამაც ასევე განსაკუთრებული დადი დაასვა საბჭოთა იმპერიას.

ე. რესურსების უაზრო ფლანგვამ წარმოების წესს სერიოზული დარტყმა მიაყენა. გიგანტური რესურსები ქვეყანაში არამიზნობრივად იხარჯებოდა. მოკაეშირეებზე იარაღი უფასოდ გადიოდა, ექსპორტიდან მიღებული დიდი ნაწილი იხარჯებოდა საბჭოეთის მოკაეშირე სატელიტ ქვეყნებზე, როგორებიც იყვნენ კუბა, ვიეტნამი, მოზამბიკი, ეთიოპია და სხვა.

ვ. ძლიერი მოკაეშირის არარსებობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა საბჭოთა იმპერიის დაშლა. საბჭოთა კაეშირს ჰყავდა მასზე მაქსიმალურად დამოკიდებული სუსტი სატელიტები და არა ძლიერი მოკაეშირეები, რომლებიც ვერანაირად ვერ გააძლიერებდნენ საბჭოთა ბლოკსა და სისტემას. საბჭოთა რესურსები იხარჯებოდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, შუა აზიისა და „მესამე სამყაროს“ ზონის შესანახად.

ზ. პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაბალმა დონემ გამოააშკარავა საბჭოთა იმპერიის არსი და ბუნება. ხშირი იყო არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღება როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სფეროში.

თ. დასავლეთის სახელმწიფოთა სტრატეგიის ერთიანობამ, წარმატებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ევროპაში, (საუბარია მარშალის გეგმაზე) მოქნილი რეაგირების სტრატეგიამ და რეგიონის ადმინისტრაციულმა პოლიტიკამ დაშალა საბჭოთა ბლოკი.

ი. ინტეგრაციული იდეოლოგიის არარსებობამ XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის საბჭოთა სისტემა-გააკოტრა. კომუნიზმმა, მისმა იდეოლოგიამ მთლიანი ფიასკო განიცადა. კომუნისტური იდეოლოგიის სიცოცხლის უნარიანობის გაგრძელებას ვერავითარი სხვა იდეოლოგია ვერ ჩაენაცვლა. „პერესტროიკის“ პერიოდში გორბაჩოვს სადავეები ხელიდან გაექცა და საბჭოთა სისტემა დაიშალა.

კ. ეროვნული საკითხის გადაუჭრელობამ და ეროვნული მოძრაობის აზვირთებამ სასიკვდილოდ შეარყია საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა.

ლ. მეტისმეტმა ცენტრალიზაციამ, ასევე ზეცენტრალიზაციამ, მისმა არაეფექტურობამ ყველა დონეზე დაშალა საბჭოთა სისტემა.

მ. ერთიანი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების უუნარობამ გამოიწვია საბჭოთა სისტემის

დაშლა. (ქვეყანაში არ იყო ერთიანი, სამეურნეო, სამრეწველო, აგრარული, ფინანსურ-ტექნოლოგიური ეკონომიკური სისტემა). სოციალისტური წარმოების წესი შეუსაბამო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის.

ნ. და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ს დაშლაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე და პოლონეთსა და უნგრეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელმაც ცხადყო, რომ სტალინიზმის დაგმობას ჰქონდა „საზღვარი“. დაიგმო პიროვნება, რომლის „მხრებზეც“ იდგა საბჭოთა იმპერია, მაგრამ სისტემა დარჩა უცვლელი, თანაც ძალზე უუნარო და ზოგჯერ ოდიოზური მმართველებით.

კრემლის დიდი მეცადინეობა, რომ საბჭოთა რესპუბლიკისათვის თავს მოეხვია ნოვოოგარიოვის ხელშეკრულება, საბოლოოდ ჩაიფუშა თუ ჩერჩილისეულ გამოთქმას გამოვიყენებთ ბულდოგების ნოხქვეშ გამართული ბრძოლა გორბაჩოვის გადაყოლებით დასრულდა ე.წ. „პერესტროიკის“ პროცესი საბჭოთა კავშირში, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად განწირული აღმოჩნდა მარცხისათვის.

გარდაქმნის ახალმა აზროვნებამ დააჩქარა კომუნისტური მმართველობის დამხობა და სოციალისტური სისტემის დაშლა „პერესტროიკის“ პროცესებმა საქართველოში ხელი შეუწყვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესების გაშლას. დაიწყო არაფორმალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა. შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება და სახალხო ფრონტი. ეროვნულ მოძრაობაში თანდათან ორი მიმართულების პოლიტიკური ძალა გამოიკვეთა: ეს იყო ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა და უფრო ზომიერი მიმდინარეობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი რადიკალური მიმდინარეობის გვერდით იდგა და ბოლომდე მას გაჰყვა. ხელისუფლებამ თავისი მოღვაწეობისა და ეროვნული მოძრაობის გაშლის პერიოდში ვერანაირად ვერ შეძლო რადიკალებთან საერთო ენის გამონახვა და დიალოგის წარმართვა.

1989წ. 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ძალოვანმა სტრუქტურებმა განახორციელეს, 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მოწამლულთა რაოდენობამ 2500-ს გადააჭარბა. 1989წ. 9 აპრილის ტრაგედიამ საქართველოში დააჩქარა კომუნისტური რეჟიმის ხელისუ-

ფლების კრიზისი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი თავისი ნებით წავიდა ხელისუფლებიდან, იგი გადადგა. მიდიოდა რა თანამდებობიდან, მან 9 აპროლის შესახებ ასეთი შეფასება გააკეთა: „9 აპრილის ტრაგედია, საუკუნის ტრაგედიაა და მე მივდივარ... მაგრამ თუ ამ ტრაგედიას სწორი შეფასება არ მიეცემა საქართველო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება და უფსკრულში ჩაიძირება.“ კრემლმა საქართველოს ხელისუფლებაში ე. შვეარდნაძის რეკომენდაციით დანიშნული ფიგურა გ. გუმბარიძე მოიყვანა. 9 აპრილი გახდა ის უმაღლესი მწვერვალი ქართველი ხალხის ცნობიერებაში, რომელმაც მთლიანად მოახდინა ქართველი ერის კონსოლიდაცია, ერი მთლიანად ერთ ორგანიზმად იქცა, რომლის წინაშე დადგა საკითხი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა. ეს ნანატრი იდეა გახდა საქართველოში მოქმედი, ყველა პოლიტიკური ძალის საპროგრამო დებულება. 9 აპრილიდან ეროვნული მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა და მან წმინდა ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის სახე მიიღო.⁴

1989წ. აპრილიდან მთელი ერთი წლის განმავლობაში იმპერიული სტრუქტურების წინააღმდეგ გამოსვლას ინტენსიური ხასიათი მიეცა.

ჩამოყალიბდა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი, რომელმაც შექმნა თავისი პროგრამა, დებულებები. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკური ტექნოლოგიიდან გამომდინარე, როგორც პროფესორი ი. კვესელავა შენიშნავს საქართველოს მთავრობას: „აწყობდა ეროვნულ მოძრაობაში შეურიგებლობის გაჩენა, მისთვის ისიც ცხადი იყო, რომ 1989წ. თბილისის ტრაგედიის შემდეგ „პერესტროიკის“ მოსკოვური მოდელის განხორციელება შეუძლებელი იყო, რესპუბლიკაში ფაქტობრივად დამკვიდრდა ორხელისუფლებიანობა, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, საკითხი “ვინ ვის“ უნდა გარკვეულიყო.“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 9 აპრილის შემდეგ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური გზით გეგმავდა. ამ გზაზე ერთ-ერთი პირველი მოთხოვნათაგანი იყო საქართველოს 1918–1921წწ. სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება, 1921წ. 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს 1920წ. 7

„1990წ. 28 ოქტომბერს მრავალპარტიული დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.⁵

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოში კომუნისტურმა მმართველობამ თავისი არსებობა შეწყვიტა. არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული ძალები. 1990წ. 14 ნოემბერს საქართველო რესპუბლიკად გამოცხადდა. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს მესამე რესპუბლიკას. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქართულმა სახელმწიფომ რესპუბლიკური განვითარების შემდეგი ეტაპები გაიარა:

1.1918–1921წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;

2.1921–1990წწ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;

3.1990–1992წწ. 6 იანვარი საქართველოს გარდამავალი დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ახალმა ხელისუფლებამ გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობის კურსი, ტოტალიტარული კომუნისტური მმართველობა შეიცვალა ხალხის მიერ არჩეული, დემოკრატიული, ეროვნული მთავრობით, რომელიც შეუდგა მანამდე არსებული საბჭოთა სტრუქტურების დემონტაჟს ახალი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას.

1991წ. 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991წ. 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1991წ. 26 მაისს საქართველოს მესამე დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ თავის პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია.

თავისი შექმნის პირველივე დღიდან საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა ქვეყნის დე-იურედ აღიარებისათვის.

არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც მიმართულ იქნა საქართველოსთან დაახლოებული დასავლეთისაკენ-ევროპა-ამერიკისაკენ. თუმცა ზოგიერთი მეცნიერის

აზრით ზ. გამსახურდიას პოლიტიკური ორიენტაცია წმინდა კლასიკური სახით არც ევრო-ამერიკული იყო, იგი უფრო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთიან სინთეზს შეიცავდა.

საქართველოს ხელისუფლებას სწამდა, რომ საქართველო გეოპოლიტიკური მდგომარეობით უნიკალური იყო, ევრაზიაში იგი თავის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას ინარჩუნებდა, ამიტომ იგი ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური მნიშვნელობის ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამიტომ საბჭოეთის მიერ ხელოვნურად ჩაკეტილი ეს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის სივრცე ღია უნდა გამხდარიყო უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციებისათვის. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო საქართველოს ეროვნული საგარეო პოლიტიკის სფეროში დამკვიდრებული თვითმყოფადობის პრინციპების განხორციელების საფუძველზე. კავკასიური ფაქტორის ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე ზ. გამსახურდიას ერთიან ევრაზიულ მსოფლმხედველობით სივრცეზე ოცნებაც კი ზედმეტად მიაჩნდა.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული ძალების მოღვაწეობის

ძირითად ნიშნად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ნამდვილი სახალხო ხელისუფლება იყო, რომელიც თავიდანვე ამომრჩეველთა მხარდაჭერითა და სიმპათიით სარგებლობდა, ქვეყნის ცხოვრებაში მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების გამო.

იგი სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლად ეროვნულ-პატრიოტულ ნაციონალიზმს აღიარებდა. ქვეყნის სტრატეგიული კურსი მიმართული იყო თვითმყოფადი ნეიტრალური სახელმწიფოებრიობისაკენ. ეროვნული ხელისუფლება იზიარებდა მსოფლიოში არსებულ და აღიარებულ ყველა დემოკრატიულ პრინციპს.

საქართველოს ხელისუფლებას იმ პერიოდში მოუწია მოღვაწეობის დაწყება, როდესაც გამოცხადდა „ცივი ომის“ დასასრული, როდესაც აშშ-ის მიერ ახლო აღმოსავლეთში განხორციელებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ კაცობრიობისათვის მაუწყებელი გახდა „ახალი წესრიგის“ დაწყებისა.

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციამ აშშ აღზევების აკორდში აიყვანა. იგი მოველინა მსოფლიოს პირველ ჭეშმარიტ, გლობალურ სახელმწიფოდ, რომელიც თავს „ახალი მსოფლიო

წესრიგის“ ტონის მიმცემ და წარმმართველ ძალად თვლიდა.

რუსეთი თანდათან კარგავდა თავის სამხედრო – პოლიტიკურ და ეკონომიკურ დასაყრდენს აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და მოლდოვაში. რუსეთი კავკასიას ჯერ კიდევ თავისი ინტერესების სფეროში შემავალ რეგიონად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა არ გაეშვა იგი თავისი გავლენის სფეროდან.

რუსეთის ხელისუფლების ზრახვები მშვენიერად ჩამოაყალიბა ელენე ბონერმა: „იმიტომ, რომ საქართველოში გამსახურდიაა, ნათლად იკვეთება გეოპოლიტიკური სიტუაცია. რუსეთმა დაკარგა კავკასია, რომლის მნიშვნელობაც ასე კარგად ესმოდა ჯერ კიდევ ერმოლოვს...“⁷

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ აი ასეთი აბრა იქნა გამოგონილი და შეკოწიწებული ბელოგეევის შეხედრის შემდეგ. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ სსრ კავშირის მემკვიდრეობა რუსეთის ფედერაციამ გადაიბარა. 1991წ. 21 დეკემბერს ალმა-ატის, სსრ კავშირის რესპუბლიკების ლიდერების შეკრებაზე მიღებულ ძირითად დოკუმენტებზე ხელმოწერა საქართველოს

გარეშე მოხდა, კონფრონტაციამ კრემლსა და საქართველოს შორის პიკს მიაღწია.

ჯერ კიდევ 1991 წლის აპრილში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რ. ნიქსონმა ზ. გამსახურდიას ურჩია, შეეწყვიტა კონფრონტაცია გორბაჩოვთან, საკმაოდ გულთბილი შეხვედრა ნიქსონმა ასე დაამთავრა: „მე ვხედავ რომ თქვენ არ შეცვლილხართ, თქვენ ისევ ის მამაცი კაცი ხართ, ამ ოცი წლის წინათ რომ იყავით“.⁸

ზ. გამსახურდიას ზოგიერთ მოსაზრებასა და გამონათქვამს აშშ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა უწოდა.

ჟურნალ „ეკონომისტის“ კორესპოდენტი მიუთითებდა „ბატონი გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის, პირველი ნაბიჯები უკომპრომისო იყო. მან სრულიად უარყო გორბაჩოვის შემოთავაზებული ახალი “სამოკავშირეო ხელშეკრულება“.

საქართველის ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ამოძრავდა ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული ძლიერი ანტიქართული ძალები. 1990 წლის არჩევნების შემდეგ საქართველოში შეიქმნა რევანშისტული კოალიცია, ესენი იყვნენ ძალაუფლება დაკარგული კომუნისტები და კომკა-

ეშირლები, ფუნქციონერულ-ნომენკლატურული ინტელიგენცია. მათ მთელი აქცენტი გამსახურდიასთან დაპირისპირებულ მოსკოვზე გააკეთეს, სადაც შექმნილი იყო საქართველოს ხელისუფლებასთან ბრძოლის შტაბი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაებლოკა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი. გარდა ამისა ისინი ამზადებდნენ სიტუაციას ქვეყნის შიგნით „აფეთქებისათვის“. 1991 წ. ჯ. ბეიკერის განცხადებამ, რომ აშშ არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასთან გამცხადებულმა პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა და სამართლებრივმა დაპირისპირებამ, ეთნოკონფლიქტებმა, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ნელმა ტემპმა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება დღემოკლე გახადა. დაიწყო მოსკოვში დაგეგმილი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობის გეგმის ამუშავება, რომელიც შედგენილ იქნა ზოგიერთ ოპოზიციურ ძალებთან კავშირის საშუალებით. კრემლი ჯერ შეეცდა, რომ ეროვნული ძალები შიგნიდან აეფეთქებინა, ამიტომ მისი

აქცენტი გაკეთდა ხელისუფლების გარეთ დარჩენილი ძალების გამოყენებაზე.

1991 წლის აგვისტოში, „მრგვალ მაგიდაში“ მომხდარმა განხეთქილებამ პოლიტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა და დაძაბა. გვარდიისადმი „შინაგანი ჯარის“ დროებითი სტატუსის მინიჭებამ „თითქოს მდელეკარება გამოიწვია გვარდიაში, აგრეთვე სარდლის, თენგიზ კიტოვანის განაწყენება და მისი წასვლა რკონში. თითქოს ლოგიკური იყო, მაგრამ ისინი იეიწყებდნენ რომ კიტოვანი მანამდე იყო „განაწყენებულიც“ და „განდგომილიც“. მისი რკონში წასვლა სხვა მიზეზების გამო მოხდა. სიგუამ კიტოვანთან და კომუნისტფუნქციონერებთან შექმნა ხელისუფლებაში სრულიად ავტონომიური ბირთვი, რომელიც რეალური ძალაუფლების გაკონტროლებას ისახავდა მიზნად. „ფრონტის“ შექმნით ისინი მიზნად ისახავდნენ პრეზიდენტის გადაყენებასაც. კიტოვანი ხედავდა, რომ ის ვერ გახდებოდა თავდაცვის მინისტრი, ვინაიდან პრეზიდენტი ამ თანამდებობაზე პროფესიონალს ეძებდა“. გვარდიის შეენაბადაზე გადასვლისა და თ. სიგუას იქ მისვლის შემდეგ მოლაპარაკება კიტოვანთან თითქმის უიმედო გახდა.

გამსახურდიას ხელისუფლებისათვის საკუთარ ოპოზიციასთან დაპირისპირება საბედისწერო შეიქნა. ოპოზიციის რადიკალური ფრთა უზენაეს საბჭოს საბჭოთა სახელმწიფო ინსტიტუტის-საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამართალმემკვიდრედ მიიჩნევედა. გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლიბერალური ინტელიგენციისა და კომუნისტური ნომენკლატურის უმრავლესობა, ძლიერი შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონი“.

ბრალდებები, რომელსაც ისინი ხელისუფლებას უყენებდნენ შემდეგში მდგომარეობდა: „ოპოზიციის ზომიერ ფრთას ეჭვი არ შეჰქონდა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობაში, მაგრამ მას დიქტატურის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებდა, კონკრეტული ბრალდებები მოიცავდა ოპოზიციის მიმართ შეუწყნარებელი ატმოსფეროს დამკვიდრებას, ახლადშექმნილი თავისუფალი მასმედიის დევნას, პრეფექტების ინსტიტუტის შემოღებას, ეთნიკური უმცირესობების შევიწროვებას, საბაზრო – ეკონომიკური ურთიერთობების უარყოფას, დასავლურ ორიენტაციაზე უარის თქმას და ა.შ.

დაპირისპირების შემდეგ 1991 წლის 22 დეკემბერს დილის 7სთ. და 30წთ. თბილისის ცენტრში დაიწყო დეკემბერ-იანვრის ბრძოლა, რომელიც გრძელდებოდა 1992 წლის 6 იანვრის 4სთ. და 25წთ-მდე. ომი 16 დღე გრძელდებოდა და დამთავრდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით. ზვიად გამსახურდია დრომ მოიყვანა ხელისუფლებაში და ამიტომ იგი დროს უნდა წაეყვანა და არა დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას.

დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ სამხედრო საბჭომ, 1992წ. მარტში მოსკოვიდან ე. შევარდნაძე მოიწვია, ხოლო 1992წ. 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების ლეგიტიმაცია მოხდა.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ამბებს ხელისუფლების მიერ დღემდე არ აქვს პოლიტიკური შეფასება მიცემული.

1998წ. 31 მარტს ე. შევარდნაძემ ეროვნული ხელისუფლებისა და ზ. გამსახურდიას მიმართ გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება: „ისტორია არავის აპატიებს ცალკეულ ღირსეულ პიროვნებათა ღვაწლის უგულვებელყოფას, როგორც მძიმეც არ

უნდა იყოს და რა შეცდომებითაც უნდა ხასიათდებოდეს. მე დღეს არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ქართველი ხალხის იმ დიდი ზეიმის, რომელიც ისტორიაში შეკა, როგორც ოქროს ფურცელი, ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი ზ. გამსახურდია.“⁹

1991წ. 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება. 1918წ. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. იგი ჩაება საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური განვითარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ძალადობის გზით ხელისუფლების დამხობამ შეუშალა ხელი. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა, მას არ შეეძლო არსებობა გარე სამყაროსთან სათანადო კონტაქტებისა და ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების გარეშე. საქართველოს, რო-

გორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტის აღიარება ჯერ კიდევ 1991წ. აგვისტოდან დაიწყო და ამ პროცესების განსაკუთრებული ტემპი 1992 წლიდან აიღო. 1991წ. საქართველო სცნო 27 სახელმწიფომ. 2000 წლის დასაწყისისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ევროპის 45 ქვეყანასთან, აზიის 40 სახელმწიფოსთან, ამერიკის 17, აფრიკის 18 და ოკეანეთის 3 სახელმწიფოსთან. 2005 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით საქართველო 115-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი აღიარებულია მსოფლიოს 140 ქვეყნის მიერ, 50 ქვეყანასთან აღიარების შესახებ მიმდინარეობდა კონსულტაციები. საქართველოში თავისი ელჩები აკრედიტებული ჰყავს 76 ქვეყანას, თბილისში მუშაობას ეწევა და ფუნქციონირებს 19 საელჩო, 15 საერთაშორისო წარმომადგენლობა, 7 საპატიო საკონსულო.

საქართველოს 22 ქვეყანაში აქვს 29 საელჩო, დიპლომატიური წარმომადგენლობა და გენერალური საკონსულო. საქართველოს არარეზიდენტი ელჩი აკრედიტირებულია 15 ქვეყანაში.

1993წ. ივლისის მდგომარეობით საქართველო აღიარებულ იქნა 88 სახელმწიფოს მიერ. დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული ჰქონდა 82 ქვეყანასთან.

საერთაშორისო არენაზე აღიარების შემდეგ ქვეყანამ დაიწყო თავისი მუდმივი საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთული ორგანოების, საელჩოების, საკონსულოების და ეკონომიკური წარმომადგენლობების შექმნა. საქართველოს დღეისათვის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული აქვს 160 სახელმწიფოსთან.

საქართველომ საერთაშორისო იზოლაციიდან თავის დაღწევა 1992წ. გაზაფხულიდან დაიწყო. იგი 1992წ. 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. საქართველომ კრიზისული მდგომარეობიდან თანდათან იწყო გამოსვლა. ფაქტიურად იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა, მისი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი აღიარებული და დაფიქსირებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მოუხდა ახალი ღონი-

სძიებებისა და პრინციპების გატარება, რომელსაც საქართველო ახალი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ახალ არხებზე უნდა გაეყვანა, მაგრამ ომმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სამოქალაქო დაპირისპირებამ ექსპრეზიდენტის მომხრეებსა და სამთავრობო ძალებს შორის ეს პროცესები დროებით უკან გადაწია და ქვეყანაში ეკონომიკური კატასტროფა გამოიწვია.

ეთნიკურმა უმცირესობებმა „პერესტროიკის“ პერიოდში აღმოცენებული ნაციონალიზმი მათკენ მიმართულ საშიშროებად ჩათვალეს. საბჭოეთის დაშლამ დასაბამი მისცა ნაციონალური უმცირესობების სუვერენიტეტისა და სეპარატისტული მოძრაობისაკენ სწრაფვას. ოსებმა და აფხაზებმა დახმარების იმედი რუსეთს დაუკავშირეს. ოსურმა უმცირესობამ 1990წ. აგვისტოს გადაწყვეტილებით, რომ საბჭოთა ოსეთი გამხდარიყო „საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“, სსრ კავშირში მისი შეყვანის აუცილებელი მოთხოვნით კრემლს მიმართა. ყოველივე ამას ქართულმა პარლამენტმა ჯერ კიდევ 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით უპასუხა. დაძაბულობისა და შეჯახების შედეგად კონფლიქტი

საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. ცხინვალის რეგიონში გაუარესებულ, მდგომარეობის შესაჩერებლად პრეზიდენტმა ბ. ელცინმა და ე. შევარდნაძემ სოჭის შეხვედრაზე რეგიონში სამშვიდობო ძალების ჩაყენებით შეძლეს სამხედრო მოქმედებების შეჩერება.

1989 წ. რუსეთის მიერ გარედან ინსპირირებული არეულობა, რომელიც აფხაზეთში დაიწყო აფხაზურ უმცირესობასა და ქართულ უმრავლესობას შორის, მოგვიანებით სისხლისღვრასა და ომში გადაიზარდა. 1992 წ. ივლისში მათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. თითქმის ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პერიოდული შეტაკებების შემდეგ, რუსეთის აქტიური ხელშეწყობითა და მთის ხალხთა კონფედერაციის, ჩრდილო კავკასიელი მოხალისეების ჩათვლით – აფხაზებმა 1993 წ. სექტემბერში მიუხედავად ხელმოწერილი შეთანხმებისა, შეუტყეს საქართველოს სამთავრობო ძალებს, დაამარცხეს და გარეკეს ისინი აფხაზეთის ტერიტორიიდან, რომელმაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, სეპარატისტთა მიერ ჩადენილი გენოციდი და ეთნიკური წმენდა გამოიწვია. 300 000 მშვიდობიანი მცხოვრები – გამოდევნილ იქნა

საკუთარი სახლ-კარიდან. სიტუაცია კიდევ უფრო გააუარესა ქართველებს შორის მომხდარიმა შეჯახებამ. განდევნილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნდა და საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება განახლდა. საქართველოს მთავრობის მიერ დსთ-ში შესვლის მზადყოფნის გარემოებით თხოვნის შემდეგ ბალტინის სამხედრო ნაწილებთან და სამთავრობო ძალებთან შეტაკებაში ზ. გამსახურდიას მომხრეთა მოძრაობა დასავლეთ საქართველოში დამარცხდა, ხოლო რამდენიმე თვის მერე გამსახურდია გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. საქართველოში მიმდინარე პროცესების შედეგად საქართველოს მთავრობამ სრული კონტროლი დაკარგა აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

ასეთი მძიმე პრობლემების წინაშე მდგომმა საქართველომ დაიწყო აქტიური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, როგორც ახლო მეზობლებთან, ისე გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებთან.

პოსტკომუნისტური სივრცის მოულოდნელი ტრანსფორმაციის შედეგად, საქართველომ მოასწრო

გამოქცევა საბჭოთა „ხაფანგიდან“, მაგრამ იგი ვერ გამოიქცა საკუთარი ეკონომიკით, საკუთარი ჯარით და მთლიანად საკუთარი მიწით. ყოველივე ამან იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. კონცეფციის საფუძველი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, არ ყოფილა ბოლომდე რეალიზებული. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში რთულ ვითარებაში დაიწყო (ცხინვალის კონფლიქტი, ვითარება აფხაზეთში, ბანდიტური გამოხდომები) ოდნავ მოგვიანებით საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, შესაბამისი სამეურნეო სტრუქტურების ჩამოყალიბება, ახალი ყაიდის ეკონომიკური მოდელის შექმნა, შეუქცევადი პროცესი გახდა.

საქართველოს საერთაშორისო იზოლაციიდან თავის დაღწევას წერტილი დაუსვა მისმა გაწევრიანებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ქვეყანამ გააკეთა არჩევანი, საქართველო დაადგა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკის გზას.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის დამარცხებას და პოსტკომუნისტური სივრცის ტრანცფორმაციას მოჰყვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, რომელმაც პოსტკომუნისტური რესპუბლიკები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩააყენა, დაიკარგა გასაღების ჩვეული ბაზარი. როდესაც აღარ არსებობდა რეალური ბლოკური დაპირისპირებები დასაფლეთის სახელმწიფოებს მიეცათ საშუალება დახმარება აღმოეჩინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის. დასაფლეთთან კარჩაკეტილი ქვეყნიდან საქართველოში მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გზაზე იწყო გადასვლა. იმპერიის დეზინტეგრაციამ საქართველო საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილისა და როლის ძებნის გზაზე დააყენა. საქართველომ, კავკასიის ამ ცენტრალურმა სახელმწიფომ, მალე გამოსაავალი იპოვნა. კავკასიის რეგიონის ეს ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არეში მოექცა.

90-იანი წლების დასაწყისში მთელმა ლოგიკამ აჩვენა, რომ საქართველოს დინამიურ და დემოკ-

რატო უღ რესპუბლიკად ჩამოყალიბება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩაებმება და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პროცესებში. ნებისმიერ ფართომასშტაბიან რეგიონალურ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა დააჩქარებდა არა მარტო მის ეკონომიკურ განვითარებას, არამედ ქვეყნის უსაფრთხოებასაც განამტკიცებდა. ამ თვალსაზრისით საქართველოს მონაწილეობა ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებში როგორცაა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC (ბისეკი) BLACK SEA ECONOMIC COOPERATION კიდევ უფრო აქტუალური გახდა.¹⁰ მართალია საქართველოს საერთაშორისო ოზოლაციიდან თავის დაღწევის ათვლის წერტილად 1992 წლის 31 ივლისი შეადგენს, როდესაც საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მანამდე საქართველო გახდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის წევრი ქვეყანა.

რუსეთის იმპერიამ, შემდგომში კი საბჭოთა კავშირმა კავკასია და შავი ზღვის რეგიონი თავისი

ეროვნული ინტერესების სფეროდ მიიჩნია. მან ჯერ კიდევ 1947 წლიდან შავი ზღვის აუზის ისეთი ქვეყნები, როგორც იყო: ბულგარეთი, რუმინეთი, თავის კონტროლის ქვეშ მოაქცია, თავის გავლენის სფეროში მოაქცია იუგოსლავია და ალბანეთიც, ჩაერია საბერძნეთის საშინაო საქმეებშიც. თურქეთს საქართველოსა და სასომხეთის მეშვეობით წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები შავი ზღვის სრუტეების რეჟიმების, გადასინჯვის თაობაზე, რაც იწვევდა რუსეთის მიერ ევროპის ტერიტორიების გაკონტროლებას, ამას მაშინვე მოჰყვა აშშ-ს რეაქცია, 1947 წ. 12 მარტს პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინა, სადაც გაცხადდა თურქეთისა და საბერძნეთის სუვერენიტეტების გარანტიების დაცვის მექანიზმები. ამას მოჰყვა ვარშავის მეგობრობის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელმაც შავი ზღვის რეგიონზე საბჭოთა კავშირის პრიმატი გამოაცხადა. სსრ კავშირის შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ფლოტმა, ბულგარეთისა და რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ნატოს შემადგენელი ქვეყნის თურქეთის მოქმედება რეგიონში შედარებით დაბლოკეს.

შავი ზღვის რეგიონი აღმოჩნდა სსრ კავშირის „ჩაკეტილი არეალი“. ხმელთაშუა ზღვაში, შავი ზღვის რეგიონის სიახლოვეს ნატოს ინტერესებს, აშშ-ს მე-ნ ფლოტი იცავდა. ნატოს სტრატეგიას რეგიონში შეადგენდა: სსრ კავშირის ექსპანსიის შეჩერება ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ევროპის საზღვრებისაკენ, რომ ახლო აღმოსავლეთის ნავთობის სამრეწველო პოტენციალი დამოკიდებული ყოფილიყო დასავლეთის მრეწველობასთან და ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახელმწიფოებრიობა დაცული ყოფილიყო.

ხმელთაშუაზღვისპირეთში სსრ კავშირის ინტერესები მიმართული იყო აღმოსავლეთისა და ბალკანეთისაკენ. გარდა ამისა რუსეთს სურდა ნატოს სამხედრო ძალების ახლო აღმოსავლეთისაგან და სამხრეთ ევროპის სანაპირო ზოლიდან განდევნა. ამ მიზნით 60-იან წლებში ხმელთაშუა ზღვაში განაღდა საზღვაო ძალების მე-5 ესკადრა. „ცივი ომის“ დროს მეტი ყურადღება დაეთმო არა ბალკანეთს, არამედ კავკასიას, რადგან რეალობიდან გამომდინარე სსრ კავშირს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ბალკანეთის გაყო-

ნტროლება არ შეეძლო. ამიტომ ამიერკავკასიაში დისლოცირებულ იქნა მძლავრი სამხედრო დაჯგუფება. ამიერკავკასია იმ დროისათვის გახდა ყველაზე მილიტარიზებული რეგიონი.

1987 წლიდან „პერესტროიკის“ პროცესების დაწყებამ კონფრონტაცია აშშ-სა და სსრ კავშირს შორის ხმელთაშუაზღვისპირეთისადმი შეანელა. 1991 წლიდან სსრ კავშირის დეზინტეგრაციის შედეგად რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე შავი ზღვის აუზის რეგიონში ორი რეგიონალური გაერთიანება წარმოჩნდა: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BLACK SEA EKONOMIC COOPERATION (ბისეკი) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ). ორივეს მოქმედების ზონას შავი ზღვა მოიცავს.¹¹

1990 წ. 19 ნოემბრის 22 ქვეყნის მიერ ხელმოწერილი, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ, ხელშეკრულების თანახმად, შავი ზღვის რეგიონს მიეცა გამოკვეთილი სახე.

რეგიონალური ინტეგრაციული ეკონომიკური გაერთიანებები მსოფლიოში გაერთიანებული

ფორმაა, ცნობილია: ჩრდილო ამერიკაში არსებული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, სამხრეთ ამერიკაში ფუნქციონირებადი სამხრეთის ბაზარი, ანდის პაქტი, ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი, აზიის რეგიონში არსებული არეალი, აზია წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, აფრიკის კონტინენტზე მდებარე დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობა და ცენტრალური აფრიკის საბაჟო კავშირი, ყველაზე ძლიერი რეგიონალური ინტეგრაციული გაერთიანება ევროკავშირი.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის შავი ზღვის აუზის ზონაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებისათვის. „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ შეიცვალა რეგიონში სახელმწიფოთა შორისი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესებმა, სსრ კავშირის დაშლამ შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივა დააყენა დღის წესრიგში.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ალიანსის შექმნის იდეის ინიციატორი გახდა თუ-

რქეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ იდეას თურქეთის პრეზიდენტმა თურგუთ ოსალმა ხორცი შეასხა და იგი რეალობად აქცია. ისტორიაში აღნიშნული ორგანიზაციის შექმნა „ოსალის გეგმის“ სახელით გახდა ცნობილი. აღნიშნულმა გეგმამ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მოწონება და დიდი გამოხმაურება გამოიწვია.¹² ამ იდეით დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების პირველი შეხვედრა 1990 წ. 19-22 დეკემბერს მოხდა, ხოლო 1992 წ. 24-25 ივნისს შავი ზღვის აუზის ქვეყნების საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთისა და „მეორე ეშელონის“ ქვეყნების, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე, მაგრამ დამოკიდებულნი არიან მასზე მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, ალბანეთმა და საბერძნეთის მხარემ, სულ 11 სახელმწიფომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, რომლის დოკუმენტის პარაფირება მოხდა 1992 წლის თებერვალში ქ. სტამბულში. პარალელურად მიღებულ იქნა დოკუმენტი, კერძოდ „ბოსფორის განცხადება“ და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაცია“. ასე დაედო საფუძველი შავი ზღვის

ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას BSEC-ს (ბისეკი), რასაც ბაზისად დაედო 1975 წ. ჰელსინკის დასკვნით აქტში ევროპაში ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტები, პარიზის ქარტიაში ასახული გადაწყვეტილებები და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. BSEC-ის შექმნის მთავარი არსი მდგომარეობდა შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში მისი მშვიდობისა და სტაბილიზაციის ზონად გადაქცევაში. შავი ზღვის აუზის ქვეყნები: თურქეთი, 63.4 მლნ. მოსახლეობით, რუმინეთი 23.1 მლნ. მოსახლეობით, ბულგარეთი 8.7 მლნ. მოსახლეობით, რუსეთი 146 მლნ. მოსახლეობით, უკრაინა 51.8 მლნ. მოსახლეობით, საქართველო 5.3 მლნ. მოსახლეობით ჩაბმული აღმოჩნდა რეგიონალურ ინტეგრაციული თანამშრომლობის ორბიტაში.

შავი ზღვის აუზის რეგიონის მნიშვნელობა საქართველოსათვის ფასადაუდებელია. იგი წარმოადგენს საქართველოს გარესამყაროსთან, მსოფლიოს ოკეანებთან დამაკავშირებელ არეალს-შავი ზღვის

აუზი საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც BSEC-მა თავიდანვე განიცადა. უმრავლესობა აქ გაერთიანებული ქვეყნებისა იმყოფება საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში და იწყებს მდგრადი განვითარების სარეფორმო პროცესებს. მაგრამ მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ეს რეგიონალური ორგანიზაცია ქვეყნებს აძლევს საშუალებას წარმატებით გამოიყენონ ორმხრივი თანამშრომლობის პრინციპები.

გეოპოლიტიკური ურთიერთმდებარეობის (ანუ კონფიგურაციის) მიხედვით შავი ზღვის რეგიონი რამდენიმე სიერცედ იყოფა:

1. ბალკანეთი: აქ შედის სერბეთი, მაკედონია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ალბანეთი და ნაწილობრივ საბერძნეთი.

2. უშუალოდ შავი ზღვისპირეთი: თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, ნაწილობრივ რუსეთი-კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები.

3. კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები, რომლებიც რსფსრ-ს შემადგენლობაში არიან.

ამ სამი რეგიონის ერთიანობა ქმნის „მაგისტრალს“ შუა აზიას, ცენტრალურ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის.

შავი ზღვა მნიშვნელოვან სატრანზიტო არტერიას წარმოადგენს, მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება მსოფლიოს საზღვაო ქვეყნებთან ცენტრალურ ევროპასა (მდ. დუნაით) და რუსეთთან (ვოლგა-დონით) დაკავშირება. ტვირთბრუნვაში უდიდეს როლს ასრულებენ საბორნე გადასასვლელები, რომლებმაც სულ უახლოეს ხანებში დააკავშირეს საქართველოს ნავსადგურები გარესამყაროსთან.

შავი ზღვის ნავსადგურებიდან აღსანიშნავია: ფოთი, ბათუმი, სოხუმი (საქართველო), კონსტანტა (რუმინეთი), ბურგასი (ბულგარეთი), სამსუნი, ერეგლი (თურქეთი), ოდესა (უკრაინა), ნოვოროსიისკი (რუსეთი) და სხვა.

საერთო ევროპულ უსაფრთხოებაში შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული ადგილი უკავია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ფარგლებში.

ის მოიცავს ისეთ კონფლიქტურ რეგიონებს, როგორცაა ბალკანეთი და კავკასია, ყველაზე მწვავე კონფლიქტები სწორედ მათზე მოდის.

შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული რესურსების დიდი მარაგის მქონე ტერიტორია უკავია. გარდა ამისა შავი ზღვის აქვის რეგიონი წარმოადგენს უმოკლეს სატრანზიტო მაგისტრალს ევროპასა და აზიას შორის.

შავი ზღვის აუზს გეოპოლიტიკურ პლანში ერთმანეთთან აკავშირებს შავი ზღვა, რომელიც წარმოადგენს ცენტრს მის ირგვლივ მდებარე სანაპიროების კავშირისა. შავი ზღვა, რომელსაც ბერძენი ზღვაოსნები ძვ.წ. VI-V სს. „პონტოს აქსინოსს“- Pontos Axsinoss არასტუმართმოყვარე ზღვას, ახ.წ. დასაწყისში Pontos Evxeinos „პონტოს ექსინოს“, სტუმართმოყვარე ზღვას უწოდებდნენ, XX საუკუნის 90-იან წლებში მეტად მშვიდობიანი „თბილი ზღვის“ სტატუსი მიიღო.¹³

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური თანამშრომლობის უკეთ დინამიკურად გაღრმავების მიზნით 1993 წელს დაარსა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური საპარლამენტო

ასამბლეა. ასამბლეაში მოქმედებს ოთხი კომიტეტი: ეკონომიკის, მრეწველობის ტექნოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი, კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი და სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტი. ასამბლეთის სამუშაო ორგანო იყო და არის გენერალური სამდივნო.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესებმა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წინსვლამ და მასში მონაწილე სახელმწიფოთა წინაშე არსებულმა სირთულეებმა, გაზარდა BSEC-ის საერთაშორისო როლი. მისი სამართლებრივი და იურიდიული სტატუსი განმტკიცდა.

1995წ. 30 ივნისის ბუქარესტის უმაღლესი დონის შეხვედრაზე და 1996წ. 25 ოქტომბრის მოსკოვის სამიტმა დღის წესრიგში დააყენა BSEC-ის საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმირების საკითხი. დაიხვეწა და შეიქმნა BSEC-ის ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა. თანამედროვე ორგანიზაციაში მონაწილე ქვეყნები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ იმაში, რომ ორგანიზაციის პო-

ლიტიზაცია არ მომხდარიყო. იგი უნდა ყოფილიყო, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

BSEC-ის საერთაშორისო ორგანიზაციად გადაქცევის განხილვას მიეძღვნა შეხვედრები ანტალიაში 1996 წლის 31 იანვარს და ბუქარესტში 1996 წ. 14-15 მარტს. საგარეო საქმეთა მინისტრების მეათე შეხვედრაზე 1997წ. 22 ოქტომბერს ქ. კიევში დასრულდა სამართლებრივი დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელსაც 1998 წ. 4-5 ივნისს იალტაში გამართულ BSEC-ის წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა სამიტის დროს მოეწერა ხელი.

ამის შემდეგ არსებული სამთავრობოთაშორისო სტრუქტურა, თანამშრომლობა, რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა სახელწოდებით: „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (ბისეკი).

BSEC-ის დეიურედ შექმნის შემდეგ სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მის საქმიანობაში. თავისი არსებობის მნიშვნელოვან ეტაპზე საქართველო 6 თვის ვადით გახდა BSEC-ის თავმჯდომარე ქვეყანა. (1998წ. 22 ოქტომბრიდან 1999წ. 30 აპრილამდე).

BSEC-ის არსებობის მანძილზე შეიქმნა სტრუქტურები: მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო, რომელიც მდებარეობს ქ. სტამბულში. არსებობს 17 სამუშაო ჯგუფი, რომელთაც აქვთ რეგულარული შეხვედრები, მასში გაერთიანებულია ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი სფეროები, როგორცაა ბანკები და ფინანსები, ეკონომიკური ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების გაცვლა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა და მრეწველობა, ჯანდაცვა, ტურიზმი, კავშირგაბმულობა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია, ინვესტიციების დაცვა და წახალისება, ორმაგი დაბეგერის თავიდან აცილება და სხვა.

აღნიშნული ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც იმართება წელიწადში ორჯერ. სტრუქტურების გარდა BSEC-ში შემავალ მონაწილე სახელმწიფოებში განვითარდა BSEC-ის ისეთი სამოქმედო მექანიზმები, როგორცაა ეკონომიკური ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების გაცვლის საკოორდინაციო ცენტრი (ანკარა), შავი ზღვის საპორტო ქალაქების საერთაშორისო

კლუბი (ვარნა), BSEC-ის ბიზნეს საბჭო (სტამბული), შავი ზღვის ენერჯეტიკის ცენტრი (სოფია), BSEC-ის მცირე და საშუალო საწარმოს ბალკანეთის ცენტრი (ბუქარესტი), შავი ზღვის კელევის სამეცნიერო ცენტრი (ათენი), მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის განვითარებისა და BSEC-ის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებისათვის სამართლებრივი მხარდაჭერისა და განსხეავებული საკანონმდებლო გზების ჰარმონიზაციის მიზნით ჩამოყალიბებულია შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეა PABSEC (სტამბული).

BSEC-ის არსებობის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო 1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებული შეხვედრა. აქ საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრაზე, ხელი მოეწერა BSEC-ის ძირითადი მამოძრავებელი სტრუქტურის შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (ქ. სალონიკი), დამფუძნებელ შეთანხმებას. ბანკს ხელი უნდა შეეწყოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, ბანკის საწესდებო კაპიტალი შეადგენს ერთ მილიარდს (1. 000. 000. 000) სპეციალურ სასესხებო უფლებას.

ამრიგად 1995 წ. თებერვალში ქ. სალონიკში შავი ზღვის ეკტრობისა და განვითარების ბანკი დაარსდა (Black Sea Trade Development Bank) მისი წევრი 11 ქვეყანა გახდა. მიზანი ბანკისა იყო და არის შავი ზღვის აუზის ფარგლებში რეგიონალური ასპექტების მხარდაჭერა და დახმარების აღმოჩენა.

1998 წ. ოქტომბერში ქ. სოფიაში გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა. ამასთანავე შედგა ამ ეკონომიკური ალიანსის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაც, სადაც საქართველოს 6 თვით გადაეცა BSEC-ის თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციები.

შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. BSEC-ის წესდების რატიფიკაციის მდგომარეობა;
2. სამუშაო ჯგუფის საბოლოო ანგარიშები;
3. სამუშაო ჯგუფებსა და რეგიონალურ პროექტებზე კოორდინატორი ქვეყნების განსაზღვრა;
4. BSCE-ის სამდივნოს საქმიანობა;

5. BSCE-ში მეთვალყურე სტატუსის მინიჭების მდგომარეობა;
6. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB);
7. შავი ზღვის კელევის საერთაშორისო ცენტრი (ICBCC);
8. საქართველოს, როგორც BSEC-ის თავმჯდომარე ქვეყნის წინადადებები.

BSEC-ს მჭიდრო ურთიერთობები გაჩნია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროკავშირი, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNIECE), გაეროს განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (UNPP), ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECP), და სხვ.

საქართველოს ურთიერთობა BSEC-ის წევრ

ქვეყნებთან ასეთია:

საქართველოს ვაჭრობა BSEC-ის წევრ

ქვეყნებთან (მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი №1

სახელმწიფო	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
რუსეთი	193.6	68.6	125.0
თურქეთი	144.0	30.0	114.0
აზერბაიჯანი	140.6	25.1	115.0
უკრაინა	63.9	8.4	55.5
ბულგარეთი	54.8	8.7	46.1
სომხეთი	36.2	20.5	15.7
რუმინეთი	38.8	2.1	36.7

საქართველოს ვალი BSEC-ის წევრ

ქვეყნებთან

ცხრილი №2.

სახელმწიფო	მლნ. აშშ დოლარი
რუსეთი	179.3
თურქეთი	54.3
სომხეთი	19.6
უკრაინა	0.9
აზერბაიჯანი	16.2

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი 1998 წ. დეკემბერი 9.06.541.

შავი ზღვის რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში. რეგიონში ცხოვრების 400 მლნ. ადამიანი, ფართობით იგი აღემატება ევროკავშირს. რეგიონი წარმოადგენს ენერგომატერებლების ტრანსპორტირების სივრცეს. საქართველოსათვის იგი ქმნის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ინტეგრაციის შესაძლებლობებს. შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიული რესურსების მქონე რეგიონია. როგორც ყველა გაერთიანებაში, ისევე ბისეკში გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ რეგიონალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებაში ლიდერის ფუნქციები იტვირთონ. ლტოლვა პირველობისაკენ ალბათ ისევე „ცივი ომის“ სინდრომად უნდა ჩაითვალოს. გლობალურ ინტერესთა სპექტრში რეგიონალური და ტრანსრეგიონალური მიზნების განსახორციელებლად გამოსაყოფია თურქეთი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურად თურქეთისადმი

დამოკიდებულება გაიზარდა, თვით თურქეთის ინიციატივით განხორციელდა რეგიონალური თანამშრომლობის პროექტი. შავ ზღვაზე თავისი გავლენით თურქეთი ცდილობს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირი დაუახლოვოს შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, რომლის ძალითაც თურქეთს საშუალება ეძლევა მსხვილი ნავთობის ერთ-ერთი სატრანზიტო ქვეყანა გახდეს დასავლეთში. თურქეთის აზრით არსებული ყოველნაირი ვაკუუმი თურქეთმა და ირანმა უნდა შეავსოს, თუ არა და რუსეთი ეცდება თავისი ძველი პოზიციები დაიბრუნოს რეგიონში.

რუსეთი, როგორც ტრანსრეგიონალური სახელმწიფო, რეგიონს არა მარტო ეკონომიკური, არამედ თავისი ეროვნული უსაფრთხოების სფეროდ განიხილავს, რადგან თურქეთის ინტერესების ზრდა შავი ზღვის რეგიონსა და ამიერკავკასიაში ქმნის პრეცედენტს ნატოს გაფართოებისათვის. ამიტომ არის რომ ამ ორგანიზაციას რუსეთმა დღეს დაუპირისპირა, ეკონომიკური თანამშრომლობის ალტერნატიული ვარიანტით, იგი ცდილობს ბისეკის დისკრედიტაციას, იგი მთლიანად არ არის ჩართული ბისეკის პროცესებში. აქ უფრო მეტად რუსეთის შავი

ზღვისპირა მხარეებია წარმოდგენილი. ერთი სიტყვით რუსეთს შავი ზღვის რეგიონში სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები გააჩნია. ამაზე მიუთითებს რუსეთის სამხედრო ფლოტის ხელმძღვანელთა გამონათქვამები: „სწორედ შავი ზღვის ფლოტს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ინტერესების დაცვაში, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ტრანსრეგიონში“ . აცხადებდა ადმირალი ვ. კრავეჩენკო.

შავიზღვისპირეთი, ხმელთაშუაზღვისპირეთი და მისი განუყოფელი ნაწილი ბალკანეთი, რუსეთისათვის წარმოადგენს მთავარ საზღვაო მაგისტრალს სავაჭრო გზებზე გასასვლელად.

შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში მნიშვნელოვანია ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოს საბერძნეთის როლიც, რომელიც უშუალოდ რეგიონალურ ჯრილში აქტიურ საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას აწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ მას გასასვლელი არ გააჩნია შავ ზღვაზე. თურქეთთან არაკეთილგანწყობილი ურთიერთობის მიუხედავად, რეგიონთან მიმართებაში მისი პოლიტიკა „ბალანსირებულია“, იგი რეგიონის ერთ-ერთი ეკო-

ნომიკურად ძლიერი, ფინანსურად სტაბილური სახელმწიფოა, მისი სავაჭრო ფლოტი არამარტო უდიდესი და მოდერნიზებულია არამარტო რეგიონში, არამედ მთელს მსოფლიოში. საბერძნეთი ყველანაირად ცდილობს ყველა საშუალება გამოიყენოს რათა გახდეს ბისეკის საფინანსო ცენტრი. ამას კიდევაც აღწევს იგი, რასაც ადასტურებს 1995 წ. თებერვალში ქ. სალონიკში დაარსებული შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (Black Sea Trade Development Bank) დაარსება.

ბისეკის ერთ-ერთ წამყვან ცენტრალურ ზონაში მდებარე სახელმწიფოს უკრაინა წარმოადგენს თავისი 51.8 მლნ. მოსახლეობით. მას ბისეკის ეგიდით მრავალი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა და მიეცემა მომავალშიც, ბისეკის ფარგლებში მნიშვნელოვანია უკრაინა – თურქეთს შორის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა. ბისეკი უკრაინისათვის ნავთობსა და გაზზე დეფიციტის შევსების ალტერნატიული რეგიონია. ბისეკის სახელმწიფოთაშორისო პროექტებში ნავარაუდევია სამსუნის ქსელიდან აღმოსავლური ნავთობის უკრაინის გავლით ევროპაში ტრანსპორტირება; რომლის შესახებ უკრაინა-თურქეთს

შორის შეთანხმება მიღწეულ იქნა 1994 წელს. ბისეკის სიერცე უკრაინისათვის მოხერხებულია.

სომხეთის დაინტერესება შავი ზღვის რეგიონისადმი იმითაა გამოწვეული, რომ მას გარესამყაროსთან სხვა საპორტო გასასვლელი არ გააჩნია. იგი რეგიონში პრორუსულ ორიენტაციას ადგას და მისი კურსის გამტარებელია, როგორც კავკასიაში ისე შავი ზღვის რეგიონში, სომხეთი რუსეთის დასაყრდენია კავკასიაში და ამავე დროს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო იგი წარმოადგენს რუსეთის მძევალს კავკასიაში.

ეკონომიკური თვალსაზრისით ბისეკით ირანის ისლამური რესპუბლიკაც დაინტერესებულია... მას სურვილი აქვს აშშ მიერ დაწესებულ ემბარგოს თავი დააღწიოს გავიდეს შავი ზღვის აუზის სანაპიროზე. სწორედ ირანის საექსპორტო პროდუქციას და ნედლეულს ამ უმოკლესი გზით შეუძლია ევროპაში მოხვედრა.

შავი ზღვის რეგიონში აშშ-ს გააჩნია თავისი სტრატეგიული ინტერესები. ეს განპირობებულია იმით, რომ იგი ახლოსაა ახლო აღმოსავლეთთან და იქ მიმდინარე პროცესებზე შეუძლია გავლენა იქონიოს, გარდა ამისა ორგანიზაციაში გაწე

ერიანებულია ნატოს მოკავშირე ორი ქვეყანა თურქეთი და საბერძნეთი, აქედან გადის უმოკლესი გზა კასპიისპირეთსა და ცენტრალური აზიისაკენ, იგი ბალკანეთის მოსაზღვრე რეგიონია. შავი-ზღვისპირეთში თავს იყრის სტრატეგიული რესურსების დიდი მარაგი, რეგიონი დსთ-სა და ევროკავშირთან მოსაზღვრე და ახლომდებარეა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის როლი ბისექთან მიმართებაში განსაკუთრებულია, რადგან ამიერკავკასიის ეს ორი სახელმწიფო არის აქტიური წევრი და მონაწილე ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი TRACECA ტრასეკას ევროპა-კავკასია-აზია პროექტისა, რომლის ძირითადი მიზანია შავი და კასპიის ზღვების თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებებით ერთმანეთთან დაკავშირება. ძველი აბრეშუმის გზის აღდგენა, ტრასეკას მასშტაბების დაკავშირება ტრანსევროპულ ინფრასტრუქტურულ ქსელებთან და ტრასეკას დერეფნის მიერთება პანევროპულ დერეფნებთან.

შავი ზღვის აუზის ქვეყნები

ცხრილი №3

ქვეყანა	მოსახ. მლნ. კაცი	ფართ. ათ ასიკმ.	დედაქალაქი	მოსახ. ლეობა	მმართ. ფორმა
ბულგარეთი	8.7	110.9	სოფია	1 მლნ	რ
რუმინეთი	23.1	237.5	ბუქარესტი	2.1 მლნ	რ
რუსეთი	146	75.4	მოსკოვი	83 მლნ	რ
უკრაინა	51.8	603.7	კიევი	2.6 მლნ	რ
საქართველო	5.3	69.7	თბილისი	1.3 მლნ	რ
თურქეთი	63.4	769.7	ანკარა	4 მლნ	რ

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, სსრკ-ს ტრანსფორმაციის შედეგად მოხდა სიმბიზის ძალთა ცენტრების გადაადგილება, დაირღვა ძალთა შედარებითი თანაფარდობა და ადრე არსებული მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ეს დისბალანსი სამხედრო თვალსაზრისით შავი ზღვის აკვატორიასაც შეეხო. რუსეთის როლი შავი ზღვის რეგიონში აშკარად შესუსტდა. 3 საუკუნის განმავლობაში კონტროლირებადი ტერიტორიიდან მან სწრაფი უკანდახევა განახორციელა. შავი ზღვის რუსული სტა-

ტუსი გაქრა, შავი ზღვის მონაკვეთი მხოლოდ სოჭიდან ტამანამდე შერჩა რუსეთს. იგი აკვატორიის გაზრდას აფხაზეთის მონაკვეთის ხარჯზე ცდილობს.

XX ს. 90-იან წლებში რეგიონში გაიზარდა თურქეთის როლი. შავ ზღვაზე ადრე არსებული დომინირებადი ზესახელმწიფოს ნაცვლად ჩამოყალიბდა ბისეკის ბალანსი სამი მსხვილი (რუსეთი, თურქეთი, უკრაინა), ორი საშუალო (რუმინეთი, ბულგარეთი) და ერთი მცირე სახელმწიფოს საქართველოს შემადგენლობით. ბისეკის შექმნის შემდეგ შავი ზღვის რეგიონი ერთ მთავარ სატრანსპორტო რეგიონად გადაიქცა. შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა თანდათან აქტუალური გახდა. სამხედრო-სტრატეგიული დაპირისპირება ადგილს უთმობს ნაოსნობას, ეკონომიკურ თანამშრომლობას. რუსეთსა და უკრაინას შორის დავამ შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შესახებ გარკვეულ პერიოდში სასწორის სიმბიძე თურქეთისაკენ გადაიხარა. ნათელი ხდება ნატოს როლი შავი ზღვის აუზში. პორიზონტზე თურქეთის სახით იკვეთება ახალი საზღვაო ქვეყანა.

რუმინეთი და ბულგარეთი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის საქმეში გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებენ. სამწუხაროდ საქართველოს თავისი დაუდევრობის გამო სამხედრო-საზღვაო ძალები არ გააჩნია და ჯერჯერობით არაფერი კეთდება საზღვაო ფლოტის ჩამოსაყალიბებლად.

ბისეკი თავისი საქმიანობით აქტიურად ქმნის სტაბილურობისა და ნდობის კლიმატს, რომლის გარეშეც მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია. ბისეკის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივებს ადასტურებს რიგი ქვეყნებისა და რეგიონების გაზრდილი დაინტერესება ბისეკში მიმდინარე პროცესებით. მის მუშაობაში აქტიურად ებმებიან დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნები: ეგვიპტე, ისრაელი, იტალია, ავსტრია, პოლონეთი, სლოვაკია, ტუნისი, მატულობს ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების (სერბეთი, მაკედონია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, უზბეკეთის რესპუბლიკა, როგორც სრულუფლებიანი წევრი) რიცხვი.

1997 წ. დეკემბერში გამართულ სამიტზე ევროკავშირის საბჭომ, ევროკომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დაიწყო შავი

ზღვის რეგიონის ფარგლებში ევროკავშირის ბისეკთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება. დოკუმენტში აღინიშნა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისათვის, რომ შავი ზღვის რეგიონი არის მნიშვნელოვანი ბაზარი მისთვის და წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორს შავი ზღვის რეგიონისათვის. შავი ზღვის რეგიონი არის ენერგორესურსების სატრანსპორტო არეალი, რომელიც უახლოესი გზით აკავშირებს ევროპას კასპიისპირეთთან და დსთ-ს ქვეყნებს თურქეთთან.

ბისეკის ფარგლებში განსაზღვრულია ისეთი დარგების განვითარება, როგორცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ვაჭრობა, შემუშავებულია ამ მხრივ ერთობლივი პროექტები. აღნიშნული დარგები წარმოადგენენ განვითარების სტრატეგიას. გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები (UNPP, UN/ECE, UNIDO) აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული დარგების პროექტების მომზადებაში.

ბისეკის შემდგომი განვითარება წარმოადგენს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის წინაპირობას.

1999 წლის 1 მაისს ბისეკის ქარტიის ძალაში შესვლის დღიდან ორგანიზაციამ საერთაშორისო იურიდიული პირის ძალაუფლება მიიღო და სრულ-უფლებიან რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში სერბეთისა და მონტენეგროს შესვლისა წევრთა რიცხვი 12 გახდა.

ბისეკის შტაბ-ბინა – მუდმივი საერთაშორისო სამდივნო სტამბულში შეიქმნა 1994 წლის მარტში. ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან, რომლის შტაბ-ბინა სალონიკში მდებარეობს.

ბისეკის დამფუძნებელი წევრები არიან:

ალბანეთი

სომხეთი

აზერბაიჯანი

ბულგარეთი

საქართველო

საბერძნეთი

მოლდოვა

რუმინეთი

რუსეთი

თურქეთი

უკრაინა

შემოერთებული წევრები:

სერბეთი

ქვეყნების – კვიპროსი და მონტენეგრო კანდიდატურას თურქეთმა თავიდანვე ვეტო დაადო (ამ ქვეყნებთან პოლიტიკური უთანხმოების გამო).

2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში სერბეთი და მონტენეგრო შევიდა.

დამკვირვებელი ქვეყნებია:

ბელორუსი

ხორვატია

ჩეხეთი

საფრანგეთი

გერმანია

ისრაელი

იტალია

პოლონეთი

სლოვაკეთი

ტუნისი

აშშ

გვიანდელი დამკვირვებლები:

ავსტრია

ეგვიპტე

დამკვირვებელი ორგანიზაციებია:

შავი ზღვის საერთაშორისო კლუბი

ენერჯის ქარტიის სამდივნო

შავი ზღვის კომისია

უნდა აღინიშნოს, რომ 15 წლის განმავლობაში BSEC-მა დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, მოახდინა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრინციპების ინიცირება და თავისი წვლილი შეიტანა რეგიონის განვითარებაში. BSEC-მა გაზარდა თავისი როლი რეგიონალურ საკითხებში და მოახერხა რეგიონალური ინიციატივიდან საერთაშორისო რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა. BSEC-ის არსებობის მანძილზე შეიქმნა ორგანიზაციის სრულფასოვანი საქმიანობისათვის საჭირო სტრუქტურები და ინსტიტუტები.

BSEC-ის ქვეყნების თაემჯდომარეობის პრინციპი

BSEC-ის წევრი ქვეყნები ყოველ 6 თვეში ინგლისური ანბანის მიხედვით, როტაციის საფუძველზე ახორციელებენ ორგანიზაციის თაემჯდომარე ქვეყნის ფუნქციას.

BSEC-თან დაკავშირებული ორგანოები:

შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეა (PABSEC), შეიქმნა 1993 წელს წვერი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების განვითარებისა და BSEC-ის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებისათვის სამართლებრივი მხარდაჭერისა და პარმონიზაციის მიზნით. შტაბბინა მდებარეობს ქ. სტამბოლში.

BSEC-ის ბიზნეს საბჭო (BSEC BC), შეიქმნა 1992 წელს შავი ზღვის რეგიონის ევროპულ და მსოფლიო ეკნომიკურ პროცესებში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ბიზნეს საბჭო წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო და არაკომერციულ სტრუქტურას.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB). 1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) მონაწილე ქვეყნების (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა) საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრაზე, ხელი მოეწერა

(BSTDB) დამფუძნებელ შეთანხმებას. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) შტაბბინა მდებარეობს საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქ. თესალონიკში.

სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის გაცემის BSEC-ის საკოორდინაციო ცენტრი – მდებარეობს ქ. ანკარაში და მიზნად ისახავს სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და გავრცელებას BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის. ცენტრის მიერ გამოიცა რამოდენიმე პუბლიკაცია BSEC-ის ფარგლებში სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.¹⁵

BSEC-ი შეიქმნა როგორც ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რეგიონის წარმატებული განვითარების ხელშეწყობას და საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობათა დაახლოებას. აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით საქართველო მხარს უჭერდა BSEC-ში მიმდინარე პროცესებს მისი დაარსებისთანავე.

ქვეყნების განვითარებას, გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომლის განვითარებაც ძალზე მნიშვნელოვანია მისი წვერი ქვეყნების შემდგომი წარმატებისათვის. თანამშრომლობა კონკრეტულ სფეროებში მძლავრი სტიმულია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის.

რამდენადაც ქვეყნის ძირითადი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდება მეზობელ ქვეყნებთან, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. რეგიონის ქვეყნებთან არსებული სავაჭრო მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს საქართველოსათვის BSEC-ის მნიშვნელობაზე. 2006 წელს ქვეყნის მიერ განხორციელებული 993,1 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის მთლიანი ექსპორტიდან BSEC-ის წვერ ქვეყნებში საქართველოს ექსპორტმა შეადგინა 505,3 მლნ. აშშ დოლარი. ხოლო 3681,2 მლნ.აშშ დოლარის მთლიანი იმპორტიდან BSEC-ის წვერი ქვეყნებიდან შემოტანილმა პროდუქციამ – 1965,5 მლნ.აშშ დოლარი.

საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედის შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება, BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, საქართველოს სტრატეგია დამოკიდებულია ისეთ არსებით და ურთიერთდამოკიდებულ კომპონენტებზე, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არსებული დემოკრატიული მონაგარის განმტკიცება და მათი შეუქცევადობის უზრუნველყოფა, ევრო-ატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. BSEC-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოხსენებული მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

BSEC-ის ფარგლებში არსებული პროექტების რეალიზაციის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა პროექტების განვითარების ფონდი (PDF).

ფონდის მეშვეობით ხდება პროექტების მატერიალურ-ტექნიკური შესწავლის დაფინანსება. ფონდში გადასახადები ხდება ნებაყოფლობით სა-

ფუძველზე და იგი 30 000 აშშ დოლარით განისაზღვრება, ხოლო თითო პროექტზე გათვალისწინებულია დაახლოებით 15 000 აშშ დოლარი, აღსანიშნავია, რომ პროექტების განვითარების ფონდმა უკვე დაიწყო თავისი საქმიანობა და მის მიერ უკვე დაფინანსდა რამდენიმე კონკრეტული პროექტი. იხილება PDF-ში შენატანების ნებაყოფლობითი საფუძვლიდან სავალდებულოზე გადასვლა, მათ შორის დამკვირვებელი ქვეყნებისთვისაც.

მიღებულ იქნა BSEC-ის ეკონომიკური დღის წესრიგი მომავლისათვის, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ დოკუმენტს და ასახავს თანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტულ სივრცეს. BSEC-ის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილ იქნა შემდეგი მრავალმხრივი შეთანხმებები:

....შეთანხმება BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ (ქ. კერკირა, 1998 წლის 2 ოქტომბერი); BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, ბრძოლის თანამშრომლობის

შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება (ქ. კიევი, 2002 წლის 15 მარტი); BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი ტერორიზმთან ბრძოლა (ქ. ათენი, 2004 წლის 3 დეკემბერი); შეთანხმება BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციებში და ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (ქ. სოჭი, 1998 წლის 15 აპრილი); BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციებში და ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი (ქ. კიევი, 2005 წლის 20 ოქტომბერი).

BSEC-ის ურთიერთობები ევროკავშირთან ძალიან ინტენსიურად ვითარდება. BSEC-ის მხრიდან მიღებულ იქნა BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის პლატფორმა (1999 წელი, ქ. თბილისი) და BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ სამ-

უშაო დოკუმენტი (2007 წელი, ქ. სტამბოლი), რასაც ევრო-კავშირის მხრიდან საპასუხოდ მოჰყვა „Black Sea Synergy Initiative“ (2007 წელი, ბრიუსელი) დოკუმენტის მიღება. ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ ეს ორგანიზაცია უფრო მზარდ დაინტერესებას გამოხატავს BSEC-ის მიმართ, რადგანაც დღეისათვის ევროკავშირის საზღვრები უკვე უშუალოდ შავი ზღვის რეგიონზე გადის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-მა წარმატებით განაწილარა ურთიერთობები შემდეგ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან:

....გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (დამკვირვებლის სტატუსი გაეროს გენერალურ ანსამბლეაში); გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UN/ECE) (შეთანხმება გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და მცირე და საშუალო საწარმოების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)- BSEC-UNDP -ის ერთობლივი პროექტი – შავი ზღვის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის პროგრამა; UNEP

(შეთანხმება BSEC-ს და UNEP-ს შორის თანამშრომლობის შესახებ); UNIDO (შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობის, ენერჯეტიკის, მცირე და საშუალო საწარმოების, ადამიანური რესურსების განვითარების, სამრეწველო სტატისტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ); UN/FAO (პროექტი BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის საქონლით შიდა და რეგიონთაშორისი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუციონალური განვითარების შესახებ; საპროექტო კონცეფცია შავი ზღვის რეგიონში სოფლებში მცხოვრები დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ; საპროექტო იდეა მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და საკვები ხორბლის ქსელის შექმნის შესახებ; მსოფლიო ბანკი (თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი დოკუმენტი); ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) (ერთობლივი რეგიონალური სემინარების ორგანიზება);¹⁶

.....ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოება (ურთიერთგაგების მემორანდუმი).

გლობალიზაციის ერაში ახალი გამოწვევებისა და რეაქციების გათვალისწინებით და BSEC-ის ეფექტურობის ამაღლების მიზნით დაწყებულ იქნა BSEC-ის რეფორმისა და რესტრუქტურისაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს, მინისტრთა საბჭოს მიერ უფროსი თანამდებობის პირთა კომპიუტისათვის გარკვეული უფლებების დელეგირებას, BSEC-ის სამდივნოში დამატებითი პოსტების შემოღებას, გუდაწყვეტილებების მიღების პროცესის გამარტივებასა და სხვა. მიღებულ იქნა ორი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი „ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის წრიული მაგისტრალის კოორდინირებული განვითარებისათვის“ და „ურთიერთგაგების მემორანდუმი BSEC-ის რეგიონში საზღვაო მაგისტრალების განვითარების შესახებ“. აღნიშნული მემორანდუმების მიღება წარმოადგენს პრაქტიკულ შედეგებს მნიშვნელოვანი რეგიონალური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

სტამბულის 2007 წლის BSEC-ის სამიტზე რვა ქვეყნის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც შავი ზღვის აუზის

ქვეყნების ენერგეტიკის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივას ასახავს. დეკლარაციაში რუსეთის სურვილის (თუ დაუინებელი მოთხოვნის) გათვალისწინებით, პოლიტიკური საკითხები არ შეეცანიათ: რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, BSEC კომფორტულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობით არიან დაინტერესებულნი და არა პოლიტიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტით. მაშინ როდესაც შავი ზღვის აუზის ენერგეტიკული პროექტების განხორციელებამ ევროპის უსაფრთხოება უნდა გაზარდოს, მაგრამ რეგიონის ეკონომიურ აღმავლობას ტერიტორიული კონფლიქტები უშლის ხელს. ასეთი იყო სამიტზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთო განწყობა და პოზიცია. რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ვაჭრობა არ შედგა, მიუხედავად გაზეთ „კომერსანტში“ გამოთქმული მოსაზრებისა: „კომერსანტის“ აზრით, რუსეთის მხრიდან კოკონითან კავშირის გაწყვეტის სანაცვლოდ, საქართველოს რუსეთისთვის დათმობაზე წასვლა უნდა შეეთავაზებინა – მსოფლიო სავაჭრო ორგანი-

ზაციაში გაწვევრიანებისათვის მხარდაჭერით. მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, „პოლიტიკაში დათმობა არ არსებობს, არის კომპრომისი“. თუმცა ბეჟუაშვილი მიიჩნევდა რომ „არსებობს პრინციპი, რომელიც არ არის კომპრომისი: ეს საზღვარია“. ერთი სიტყვით, რუსეთ-საქართველოს შინაგანი დაძაბულობის მიუხედავად, გარეგნულად ეს დაძაბულობა არ შეიმჩნეოდა და, პირიქით, სახელმწიფოს მეთაურების მხრიდან უფრო დამთბარი ურთიერთობების დემონსტრირების მცდელობა იყო. მაგრამ რუსეთის მთავარი პოლიტიკური ინტრიგა სამიტიდან მეორე დღეს, ენერგონფერენციაზე მოხდა, როდესაც მოსკოვმა ბაქო-თბილისი-ანკარის ენერგოდერეფანს ალტერნატიული დერეფანი დაუპირისპირა – სამხრეთ ნაკადის გაზსადენის პროექტის სახით.¹⁷

15 წლის წინ, როდესაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა შეიქმნა, ბისეკში გაწვევრიანებული ქვეყნებიდან არც ერთი სეროზულად არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ კავშირში აბსოლუტურად განსხვავებული (როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად) სახელმწიფოები ერთიანდროდნენ. ამიტომაც ეს თანამშრომლობა დაარსებიდან

რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკაში ვერ ხორციელდებოდა და იღვის დონეზე რჩებოდა. ექსპერტები ბისეკს სიცოცხლისუნარიან რეგიონულ გაერთიანებად არ მიიჩნევენ, თუმცა მას მკვდარსაც არ უწოდებდნენ.

სტარტეგიული კვლევების ცენტრის დირექტორის აზრით, „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ 1992 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა. შავი ზღვის რეგიონი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვაკუუმში აღმოჩნდა და ამიტომ ეს ორგანიზაცია რეგიონული თანამშრომლობის ინიცირების მიზებით შეიქმნა. ბისეკი ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმატს წარმოადგენდა წლების განმავლობაში, მას მინიმალური ინსტიტუციური ელემენტები ჰქონდა და არ წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციას. მხოლოდ 1999 წელს გარდაიქმნა ის საერთაშორისო ორგანიზაციად და მისი პრეზენტაცია პირველ მაისს თბილისში შედგა. იმ პერიოდში საქართველო ბისეკის თავმჯდომარე ქვეყანა იყო. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის კავშირი საინტერესო წარმოდგენი იყო იმის გათვალისწინებით, რომ რთულ და ჭრელ რეგიონში შეიქმნა, და მოიცავდა ქვეყნების ფართო და განსხ-

ვაგებულ პალიტრას როგორც განვითარების დონით, ასევე პოლიტიკური წარსულით. მისი განვითარების გზაც ასევე არაერთგვაროვანი იყო: პქონდა წარმატებული ნაბიჯები – მაგალითად, ერთობლივი ძალისხმევით მოხდა საბანკო სტრუქტურის ჩამოყალიბება შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის სახით, რომელიც რეგიონულ პროექტებს აფინანსებდა. საბერძნეთში ჩამოყალიბდა შავი ზღვის შესწავლის ცენტრი, რომელიც ანალიტიკური სტრუქტურა იყო და რომელსაც ბისეკის ქვეყნები აფინანსებდნენ. მეორე მხრივ, ბისეკის წარუმატებლობაც თან სდევდა – გარკვეული ხნის განმავლობაში ბისეკის ეფექტურობა ეკონომიკური საქმიანობის კოორდინირების თვალსაზრისით აღფრთოვანებას იწვევდა, რადგან რეგიონის სირთულის გამო რეგიონული პროექტების ინიცირება და ხელშეწყობა ამ თანამშრომლობის ჩარჩოშესაძლებლობებს სცილდებოდა. ბისეკის საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის შემდეგ მის საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ბისეკი ინსტიტუციურად გაძლიერდა, ის სამუშაო მიმართულებები, რომლებიც მისი საქმიანობის სფეროს მოიცავდა, უფრო მკვეთრად გამოიკვეთა და, შესა-

ბამისად, უფრო კონკრეტული თანამშრომლობის ფორმატები შეიძინა.

დროში ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურები გაფართოებას იწყებდნენ და როდესაც აღმოსავლეთი ევროპა ევროპის სივრცის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ევროკავშირმა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის საზღვრებმა, პრაქტიკულად შავი ზღვის უდიდესი ნაწილი მოიცვეს. ეს გეოპოლიტიკური ძვრა პრინციპული მნიშვნელობის გახდა ბისეკისათვის, როგორც შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ერთ-ერთი წამყვანი ფორმატისათვის.

როდესაც სტამბოლის სამიტზე რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური საკითხები საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით სხვა ფორმატში უნდა განიხილებოდეს და არა ბისეკის ჩარჩოებში, ლავროვი აპელირებდა ბისეკის წესდებაზე: ბისეკი ეკონომიკურ ურთიერთობებზე დამყარებული ორგანიზაციაა და, შესაბამისად, მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემებს მოიცავს.

ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება იძულებით ხასიათს არ ატარებდა და თანასწორუფლებიანობის

პრინციპით თანამშრომლობას ემყარებოდა. იდვის მიხედვით, პისეკი ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობების სისტემის გამაწონასწორებელი უნდა გამხდარიყო. მაგრამ 15 წლის წინ რამდენად შესაძლებელი იყო შავი ზღვის რეგიონში პერსპექტიული თანამშრომლობის განვითარება სუსტი ფინანსური შესაძლებლობებისა და ქვეყნებს შორის მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე?

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სახელმწიფოთა წინაშე არსებულმა პრაქტიკულმა სირთულეებმა ამ გაერთიანების, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, საჭიროება უფრო აქტუალური გახადა.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ევროკავშირის უკანასკნელი გადაწყვეტილებები, ამ რეგიონთან დაკავშირებით განხორციელდა: ევროკავშირის მხრიდან მოხდა კონცენტრირება და საქმიანობის ფოკუსირება. სერიოზულ მნიშვნელობას იძენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი ინიციატივა შავი ზღვის სინერჯის თაობაზე, რომელზეც ევროკავშირი ამჟამად მუშაობს. ეს ნიშნავს თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ყველა სფეროში. შავი ზღვის რეგიონი, გეოგრაფიის და გეოპოლიტიკური მნი-

შენელობით, ევროპული ფენომენია, ამიტომ იგი ევროპის განუყოფელი ნაწილია. წლების განმავლობაში იყო მცდელობა, რომ ბისეკ-ევროკავშირის დიალოგი ბისეკისა და დასავლეთის თანამშრომლობის ღერძი გამხდარიყო. 90-იან წლებში ბისეკის მიერ პირველი ნაბიჯების გადადგმის დროს ევროპის დაინტერესება ფოკუსირებული არ იყო რეგიონზე, რადგან ევროკავშირის წინაშე გაფართოების სხვა ამოცანები იდგა: მაგალითად: ბალკანეთის პრობლემა. ახლა, როდესაც ბალკანეთის თემა, ძირითადად, დაძლეულია და ამ ქვეყნების კურსი განსაზღვრულია, ბუნებრივია, ევროკავშირის ინტერესი აღმოსავლეთისა და შავი ზღვის ქვეყნებისაკენ არის მიმართული. ამიტომ ბისეკ-ევროკავშირის თანამშრომლობა ბისეკის დღის წესრიგისათვისაც უმთავრესია.

მიუხედავად იმისა, რომ ბისეკში ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიზაცია არამიზანშეწონილად მიიჩნევა, პოლიტიკურ მოტივებს რომც არ ჰქონოდათ პირველადი მნიშვნელობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ენერგეტიკულ ან ეკონომიკურ პროექტში მონაწილე ქვეყნები პრობლემას პოლიტიკური საკითხების გაუთვალისწინებლად უნდა

განიხილავდნენ. შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური უთანხმოება დღემდე ხელს უშლის ინტეგრაციას. სტამბოლში ბეჟუაშვილმა აღნიშნა, რომ შავი ზღვა არ თიშავს, ის აერთიანებს. ეს ის რეგიონია, სადაც ყოველთვის იარსებებს ქვეყნებს შორის ინტერესთა შეჯახების ფაქტორი. ფაქტია, რომ თითქმის თითოეულ ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოსთან გარკვეული პრობლემები აქვს: ერთმანეთს პოლიტიკურად უპირისპირდებიან საქართველო და რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, თურქეთი და საბერძნეთი, უკრაინა და რუსეთი და ა.შ. ამას ემატება ეკონომიკური სანქციები, რომლებიც აფერხებს ეკონომიკურ თანამშრომლობას.

საქართველო ბისეკში თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ევროპული ინტეგრაციის ჩვენი სტრატეგიული თანამშრომლობის რეალიზებისათვის. ბისეკი გახდა ის ასპარეზი, სადაც რუსულ-ქართული დაპირისპირება ყველაზე მწვავედ ჩანდა, რადგან ამ ორგანიზაციის ძირითადი საკითხები არ არის რუსულ-ქართული დისპუტის თემა. კამათის თემას დღემდე წარმოადგენს კონფლიქტები და საქართველოს სტრატეგიული არჩევანი ევროატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე

და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც რუსეთისა და საქართველოს ხედვები განსხვავებულია. მაგრამ რუსეთის გაღივიანებას ყოველთვის იწვევდა ენერგომატარებლები და ისეთი სტრატეგიული პროექტები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და გაზსადენები ცენტრალური აზიიდან და კასპიისპირეთიდან თურქეთის მიმართულებით კავკასიის გაელით.

თურქეთის როგორც პროამერიკული ქვეყნის, ინიციატივა ბისეკის შექმნის შესახებ გარკვეულწილად ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს პასუხობდა და თავიდანვე მიმართული იყო რეგიონში რუსეთის ეკონომიკური (შესაბამისად პოლიტიკური) გავლენის შემცირებისაკენ. მაგრამ დღეს სხვა პოლიტიკური სურათია: რუსეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ენერგომარშრუტების პროექტებში ევროპის მიმართულებით. თანაც თურქეთის ეკონომიკური პოტენციალი საკმარისად არ იძლევა შავი ზღვის რეგიონში საკუთარი დომინირების საშუალებას. შესაძლოა, თურქეთი ბისეკში დონორი ქვეყანა ვერ გახდა, მაგრამ წამყვანი პოზიციების მოპოვებას დღემდე

ჯიუტად ცდილობს. ის ფაქტიც, რომ სამიტი სტამბოლში ჩატარდა, თურქეთის პოლიტიკურ ამბიციებზე მეტყველებს. თანაც ამ ეტაპზე თურქეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება აშკარა არ არის და დასავლეთის დამოკიდებულება თურქეთის მიმართაც არაერთგვაროვანია. თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი ამოძრავებს, მაგრამ, სრულყოფილი ევროპული ქვეყანა ის მაინც ვერ გახდა. ამ ეტაპზე თურქეთის წევრობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგ მრავალი ბუფერული ქვეყანა გაჩნდა, თუნდაც საქართველოსა და აზერბაიჯანის სახით და თურქეთმა პლაცდარმის დანიშნულება დაკარგა. სამიტზე ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის იდეოლოგიურ დონეზე დაპირისპირება თითქმის არ არსებობს, რადგან მოსკოვს სტამბოლი არ მიაჩნია იმ დონის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ, რომლის მიმართაც პროპაგანდისტულ პროგრამას აამუშავებდა. თავის მხრივ, სამიტის მასპინძელ თურქეთს მიაჩნია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა შეუძლია, რაც მას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო აქტიური

როლის შესრულების საშუალებას მისცემს. წინა საუკუნეში საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ქუშაობდა ფორმულა – საქართველოს გზა ევროპისაკენ რუსეთზე გადის. ამ ფორმულამ სახეცვლილება განიცადა და ახლა ასე უღერს – საქართველო რუსეთის გვერდის ავლით დასავლეთიდან პირდაპირი კავშირის მომხრეა. ამ ფორმულას, საქართველოს გარდა, ბისეკის სხვა ქვეყნებიც იზიარებენ, მაგალითად უკრაინა და აზერბაიჯანი, რომელთაც საკუთარი მოქმედების გეგმა აქვთ შემუშავებული. ამიტომ დღესაც ეჭვის ქვეშ დგება ინტეგრაციის საკითხი.

საქართველოს თანამშრომლობა ბისეკთან იმ პერიოდშიც კი აქტიური იყო, როდესაც ამ ორგანიზაციის შიგნით სტაგნაცია იყო – ბისეკი ვერ ახერხებდა სასიცოცხელი მნიშვნელობის საკითხებზე სათანადო რეაგირებას. მაშინაც კი არ დაუქარგავს საქართველოს ენთუზიაზმი: მიაჩნდა, რომ შავი ზღვის არეალს საქართველო მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით არ ეკუთვნოდა, არამედ სამომავლო სტრატეგიული ხედვა და გეოპოლიტიკური ინტერესები უკავშირდებოდა ამ რეგიონს. ბისეკის სამდივნოს წლების განმავლობაში საქა-

რთველოს დიპლომატები ხელმძღვანელობდნენ. თავდაპირველადაც აღმასრულებელ მდივნად ვალერი ჩეჩელაშვილი აირჩიეს. ეს ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებაც იყო და საქართველოს როლის აღიარებაც ამ რეგიონალურ ორგანიზაციაში. საქართველო არაერთი საინტერესო ინიციატივის ავტორი იყო ბისეკის გააქტიურების მიზნით. ბისეკსა და ევროკავშირს შორის დიალოგის ინიციატორიც ვალერი ჩეჩელაშვილი იყო. საქართველოს საგარეო პოლიტიკა მცირე ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის ტიპური მახასიათებელია და ამის ერთ-ერთ მაგალითს ბისეკის მსგავს ალიანსებში აქტიურად მონაწილეობა წარმოადგენს. მართალია ბისეკი ეკონომიკური განვითარებაა, მაგრამ საქართველოსათვის ორგანიზაცია ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური არენა, სადაც იგი საკუთარი ინტერესების რეალიზაციის მცდელობას ახდენდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესები თითქმის ანალოგიურია: ორივე ქვეყანას რუსეთის გავლენის შემცირება სურს და გაყინული კონფლიქტები აქვს. მიუხედავად კონფლიქტების არსებობისა, ამ ქვეყნებს სატრანსპორტო დერეფნისა და ენერჯეტიკული დონორის ფუნქციები აკისრიათ. ბისეკში

რუსეთის ფაქტორის გამო ეკონომიკური და ენერგეტიკული პროცესების თანმხვედრი პოლიტიკური ინტერესების შეჯახება მიმდინარეობს. ევროპა კი ერთიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბალანსს წარმოადგენს. ის, რომ ბისეკში ინტერესთა შეჯახება ხდება, სტამბოლის სამიტმაც გამოააშკარავა. პრაქტიკულად ენერგეტიკულმა კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აშკარაა სურათი, როდესაც ორი ან რამდენიმე ქვეყნის გაერთიანების საფუძველზე ერთის დატეოროება ხდება. მაგალითად ენერგოკონფერენციაზე პუტინმა ახალი ინიციატივა წამოაყენა და სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის ენერგეტიკული გეგმების ჩაშლა სცადა; რუსეთი ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის გაზსადენის მშენებლობას იწყებს, რომელშიც საბერძნეთი უჭერს მხარს. თურქეთი, რომელიც საბერძნეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ქვეყანაა, ამ პროდუქტის მიღმა დარჩა. თუმცა ოფიციალური ათენი აცხადებდა, რომ საბერძნეთი თურქეთს მხარს უჭერდა ენერგომარშუტებთან დაკავშირებით, მაგრამ ათენმა მაინც მოსკოვთან ამჯობინა სტრატეგიული კავშირი და სტამბოლთან თანამშრომლობაზე უარი თქვა. რუსეთის ახალი გაზსადენი თურქეთთან მო-

სახლკრე შავი ზღვის ფსკერზე უნდა გასულიყო. პუტინის ამბიციური გეგმის მიხედვით, ახლა სამხრეთის ნაკადი ბულგარეთის სანაპიროსკენ გადაინაცვლებს და მისი სიგრძე – 900, ხოლო სიღრმე 2 კილომეტრი იქნება. ხმელეთზე კი გაზსადენმა საბერძნეთი უნდა გაიაროს. გაზსადენის ნაკადს კიდევ ერთი მარშრუტი აქვს ევროპისაკენ: ბულგარეთიდან რუმინეთისა და უნგრეთის გავლას ითვალისწინებს. ერთი სიტყვით, კრემლის პროექტის მიხედვით, ევროპა კვლავ რუსეთის აირის სარტყელში ექცევა. მიუხედავად ყველაფრისა, ოფიციალური ანკარა აცხადებს, რომ დამოუკიდებელი ენერგოპროდუქტები ერთმანეთს ავსებს და ხელს არ უშლის. რუსეთის გვერდის ავლით, ახალი გაზსადენის მშენებლობის პერსპექტივებზე (რომელიც კასპიის, შავი ზღვისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისაკენ გაზის დინებას ითვალისწინებს) რუსეთის მოწინააღმდეგე ბანაკის ქვეყნები, მომავალში უკვე ვილნიუსში იმსჯელებენ. ამ ეტაპზე კი საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი მხოლოდ დიპლომატიური შეფასებით იფარგლებიან. მაგალითად, სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს თავისი წილი ენერგოუსაფრთხოება უკვე გარანტირებული აქვს.

სტამბულის სამიტზე ირაკლი მენაღარიშვილი აღნიშნავდა, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბანაკები არ ჩანდა, რომ საქმე გვაქვს უფრო მცდელობასთან, რომ მაქსიმალურად მოიპოვოს დომინირება მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცის (და არა მხოლოდ კასპიისა და ცენტრალური აზიის) ენერგომატარებლების მოპოვებისა და ტრანსპორტირების საქმეში. რუსეთი ევროპაში ისედაც გაზის წამყვანი ექსპორტიორია. დღეს ცდილობს, რომ არ დაუშვას თავისი როლის შემცირება, პირიქით საკუთარ მნიშვნელობას ზრდის. ამას სამი ძირითადი გზით ახერხებს: პირველი – ახალი მარშრუტების ძიება იმისათვის, რომ ყველა სხვა სატრანზიტო ქვეყნის მონაწილეობისაგან გაზის თავისუფალი, პირდაპირი მიწოდება უზრუნველყოს ევროპაში. ასეთი პროექტი ბალტიისპირეთის ფსკერზე მილსადენია. მეორე და ბოლო გადაწყვეტილება კი რუსულ-იტალიური კონსორციუმში გახდა, რომელმაც შავი ზღვის ფსკერზე უნდა განახორციელოს პროექტი; რუსეთის ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალის შეზღუდვა, რომელსაც რუსეთის ენერგოსფეროს წამყვანი მონოპოლიები ახორციელებენ ფაქტობრივად ხდება რენაცო-

ნაღიზაცია იმ ბუნებრივი რესურსებისა, რომელთა დამუშავების უფლება თავის დროზე მოიპოვეს იმ წამყვანმა მსოფლიო ენერგოგიგანტებმა, რომლებიც ენერგეტიკულ ამინდს ქმნიან მსოფლიოში; მესამე – შეტევაზე გადასვლა და დასავლეთის ენერგობაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება. იგულისხმება ენერგოგადამცემი ინფრასტრუქტურის შექმნა, ენერგოგამანაწილებელი კომპანიების შექმნა და ამგვარად, დასავლეთ ევროპის ბაზარზე აქტიურად დამკვიდრება. ძირითადი და წამყვანი საკითხი გაზის ექსპორტი და დისტრიბუციაა. აი ამ საქმიანობას ეწევა რუსეთი. ენერგოკონფერენციაზეც პუტინის გამოსვლაში ეს თეზისები გაჟღერდა. რა თქმა უნდა, მან ისინი დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა არა როგორც რუსეთის წარმატება, არამედ როგორც ყველასათვის საერთო სიკეთე. მაგრამ რუსეთის ასეთ დამოკიდებულებას ყველა ქვეყანა არ იზიარებს. პარტნიორი ქვეყნების ძირითადი შეშფოთების საფუძველი ის გახდა, რომ რუსეთის ენერგეტიკის სფეროში ექსპანსიონისტური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი მოთამაშეები სახელმწიფო მონოპოლიები არიან და არა საბაზრო პრინციპებზე მომუშავე კერძო კომპანიები.

სტამბოლის ბისეკის სამიტის ენერგოკონფერენციაზე პუტინის მიერ წამოყენებულმა ადტერნატიულმა ენერგოდერეფანმა, შესაძლოა, დასავლეთის ყურადღება კავკასიიდან რუსეთზე გადაიტანოს, ხოლო საქართველომ დასავლეთითის სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგოს: დასავლეთისთვის რუსეთი კვლავ ენერგოგასაღების მფლობელ ქვეყნად რჩება.

ფაქტობრივად, კრემლი ენერგოდერეფანის ახალი სქემით მხოლოდ ევროპის მოხიბვლას კი არ გეგმავს, არამედ ენერგომში ვაშინგტონის დამარცხებასაც აპირებს. ენერგორესურსების რუსეთის ხელში მოქცევით საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ფასებს საფრთხე ექმნება, რაც მსოფლიო უსაფრთხოებაზეც აისახება. მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, მაინც ნაადრევია თამამი პროგნოზის გაკეთება იმაზე, მოიგებს თუ არა რუსეთი ენერგომს და რამდენად ქრონიკული გახდება ამერიკისა და მის პოლიტიკურ ორბიტაზე მყოფი ქვეყნებისათვის უსაფრთხოების შიში. ასე რომ, შავი ზღვის რეგიონი ევროპის განუყოფელი ნაწილია. ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემა, რომელიც ტრანსფორმირებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ

ორგანიზაციებს ეფუძნება, სრულად ვერ განვითარდება შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემის ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტად ჩამოყალიბების გარეშე. NATO-ს და ევროკავშირს აქეთ უნიკალური შესაძლებლობა, ერთობლივი თანამშრომლობით მხარი დაუჭირონ შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების ძალი-სხმევის, უზრუნველყონ მდგრადი რეგიონული სტაბილურობა და უსაფრთხოება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების, სივრცის განუყოფლობისა და ამ სივრცისადმი საქართველოს, როგორც შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოს, კუთვნილების პრინციპს. საქართველო მიესალმება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მიმდინარე ინტეგრაციას NATO-სა და ევროკავშირში და გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მომავალი უკავშირდება კიდევ უფრო უსაფრთხო და სტაბილურ შავი ზღვის რეგიონს და შესაბამისად NATO-ს და ევროკავშირს. საქართველოს და შავი ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნებთან ინტეგრაცია განამტკიცებს NATO-ს და

ევროკავშირის მნიშვნელოვანი სამხრეთ საზღვრის უსაფრთხოებას.

საქართველო მიესალმება NATO-ს აქტიურ მონაწილეობას შავ ზღვაზე უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაში. მნიშვნელოვანია NATO-ს მონაწილეობა შავ ზღვაზე ნარკოტიკული ნივთიერებებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობისა და ადამიანების ტრეფიკინგის, აგრეთვე ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავი III

ევროკავშირის რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივა, რომელიც BSEC-ის სტრუქტურების საშუალებით უნდა განხორციელდეს

ევროკომისიის კომუნიკეს „შავი ზღვის
სინერგია – რეგიონალური თანამშრომლობის ახალი
ინიციატივა“ „The Black Sea Synergy-A New Regional
Cooperation Initiative“ შესახებ

(დოკუმენტი წარდგენილია ევროკავშირის
საბჭოსა და ევროპარლამენტში შემდგომი
განხილვისა და დამტკიცებისათვის)

შავი ზღვის სინერგია Black Sea Synergy, ევროკავშირის რეგიონალური თანამშრომლობის ახალი ინიციატივა შემუშავდა შავი ზღვის რეგიონული კოორდინაციის მიზნით დემოკრატიული განვითარების, მიგრაციის და უსაფრთხოების, „გაყინული“ კონფლიქტების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის პრობლემების დასაძლევად.

შავი ზღვის სინერგია არ არის EU-ს დამოუკიდებელი სტრატეგია და არ ითვალისწინებს ახალი

სტრუქტურის შექმნას. თანამშრომლობა ძირითადად BSEC-ის სტრუქტურების საშუალებით განხორციელდება.

აქნიშნული პოლიტიკა შავი და კასპიის ზღეების რეგიონს სცილდება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასაც მოიცავს. შავი ზღვის რეგიონისადმი მიდგომა მჭიდროდაა დაკავშირებული ცენტრალური აზიის სტრატეგიასთან.

შავი ზღვის ფარგლებში თანამშრომლობის სფეროებია:

დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა

შავი ზღვის რეგიონალურმა ორგანიზაციებმა აიღეს დემოკრატიული ინსტიტუტების, მმართველობის და კანონის უზენაესობის განვითარების ვალდებულებები. ევროკავშირი მათ დაეხმარება ტრენინგებისა და გაცვლითი პროგრამების, სამოქალაქო საზოგადოებასთან რეგიონალური დიალოგის სტიმულირების საშუალებით.

მიგრაციის მართვა და უსაფრთხოების გაუმჯობესება

წარმატებულად არის შეფასებული მოლდოვასა და უკრაინაში რეგიონალურ დონეზე საზღვრე-

ბის მართვის და საბაჟო თანამშრომლობის განმტკიცების ევროკავშირის მისია (EU Border Assistance Mission for Moldova and Ukraine).

ვინაიდან შავი ზღვის რეგიონზე გადის არალეგალური მიგრაციის მარშრუტები, კომისია მოკლედ როში წარმოადგენს კომუნიკეს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ქვეყნებში მიგრაციის გლობალურ მიდგომაზე (Global Approach to migration). მასში აისახება ახალი ინიციატივები მიგრაციის მართვის გაუმჯობესებისა და არალეგალური მიგრაციის შეზღუდვაზე. კომისია რეგიონს დაეხმარება ტრანსნაციონალური დანაშაულის აღკვეთისა და ადრეულ გამოვლენაში, კანონიერ გადაადგილებაზე დაბრკოლებების მოხსნაში.

„გაყინული“ კონფლიქტები

კომისია მხარს უჭერს კონფლიქტების მოწესრიგების მიმდინარე ღონისძიებებში ევროკავშირის პოლიტიკური მონაწილეობის როლის უფრო გააქტიურებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კონფლიქტურ რეგიონებში მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, მათ შორის სპეციფიკურად შექმნილი ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებს.

ენერჯეტიკა, ტრანსპორტი

კომისია რეგიონის ქვეყნებთან გააგრძელებს დიალოგს ენერგოსაფრთხოების საკითხებზე ბაქოს ინიციატივის, სამეზობლო პოლიტიკასა და ევროკავშირ-რუსეთის ენერგოდიალოგის, სხვა ხელშეკრულების საფუძველზე, რათა ენერჯეტიკის სფეროში წარიმართოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული მოლაპარაკებები.

ევროკავშირი დაეხმარება რეგიონის ქვეყნებს ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. იგი იმუშავებს კასპიის ზღვა-შავი ზღვის „ახალი ენერგო-დერეფნის“, შავ ზღვაზე ტრანსპორტირების ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე. ამ საკითხს განიხილავს ბოსფორის გვერდის ამქცევი კომისია. კომისია განიხილავს ევროკავშირისა და სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებს შორის სამართლებრივი ჩარჩოს (legal framework between the EU and the ENP region) შექმნის საკითხს, მოთხოვნა-მიწოდების და ტრანზიტის საერთო ინტერესების დასარეგულირებლად.

კომისია დაეხმარება რეგიონს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოებაში, ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებაში ისე, როგორც ეს

განისაზღვრა ტრანსპორტის მაღალი დონის ჯგუფებში (HLG). 2015 წლამდე უნდა გაგრძელდეს TRACECA-ს სტრატეგია. დიალოგის ძირითადი თემა რეგულაციების დაახლოვება-სტანდარტიზაცია, სავაიაციო და საზღვაო (ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების) უსაფრთხოებაა. პარიზის და შავი ზღვის მემორანდუმების (Paris and black Sea Memoranda of Understanding) პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს პორტების სახელმწიფო კონტროლის ჰარმონიზაცია.¹

გარემოს დაცვა, საზღვაო პოლიტიკა

მეთევზეობა

შავი ზღვის ქვეყნები უნდა მიუერთდნენ გარემოს დაცვის რეგიონალურ კონვენციებს, გააფორმონ გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები. კლიმატის კონტროლის (combat climate change) თვალსაზრისით საჭიროა კიოტოს ოქმის (Kyoto Protocol) ერთობლივი გამოყენება. სანაპირო ზოლში ევროკავშირი განავითარებს მეთევზეობის მართვას, კვლევას, მონაცემთა ბაზებს. მეთევზეობის გენერალური კომისიის (General Fisheries Commission for the Mediterranean) შესაძლებლობები უკეთ უნდა იყოს გამოყენებული.²

ვაჭრობა

ევროკავშირისა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობები (preferential trade relations) მსო-ში (WTO) შავი-ზღვისპირა ქვეყნების გაწვევრიანება, რესეთთან და უკრაინასთან საპარტნიორო (PCA's)-ს შემდგომი ხელშეკრულების გაფორმება თანამშრომლობის პრიორიტეტებია. კომისია, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევს რეგიონის ქვეყნების და ევროკავშირის სავაჭრო კანონმდებლობების ურთიერთდაახლოებას. რეგიონის ხუთი ქვეყანა არის სამეზობლო პოლიტიკის განმახორციელებელი პარტნიორი (ENP partners). შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნებთან სრული და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას (deep and comprehensive Free Trade Agreements).

კომუნიკეს თანახმად, ევროკავშირის წევრი და ევროკავშირის საბაჟო კავშირში გაერთიანებული ქვეყნები სხვა ქვეყნებთან რეგიონალურ თავისუფალ

სავაჭრო სქემებში (regional free trade schemes) დამოუკიდებლად ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

კვლევითი, საგანმანათლებლო ჩარჩოები, მეცნიერება და ტექნოლოგია

რეგიონის ქვეყნები ჩაერთვებიან პანევროპული კვლევითი გაერთიანების GEANT-ის მუშაობაში. ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს კვლევით და საგანმანათლებლო საზოგადოებებს შორის სწრაფი ურთიერთდაკავშირება და ამ ქვეყნების საკანონმდებლო და რეგულაციების ჩარჩოს ჰარმონიზაცია ევროკავშირის ჩარჩოსთან. ეს მოითხოვს დამოუკიდებელი მმართველობის შექმნას. საჭიროა განათლება და კვლევებში ელექტრონული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. გამოყენებული იქნება უმაღლესი განათლების რეფორმაზე ფოკუსირებული პროგრამა ტემპუსი (Tempus Program). რეგიონში გაერცელებდა ევროპული სასტიპენდიო სქემები (Extremal Cooperation Window of the Erasmus Mundus programme) და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა.³

დასაქმება და სოციალური სფერო,
რეგიონალური განვითარება

რეგიონის ქვეყნებში მსგავსი გამოწვევებია: უმუშევრობა, არაფორმალური ეკონომიკა, გენდერული და სხვა სოციალური პრობლემები. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და დისკრიმინაციის აღმოფხვრა თანამშრომლობის უმთავრესი სფერო უნდა იყოს. ჩატარდება ტრენინგები ტექნიკური დახმარების პროგრამების საშუალებით.

სასაზღვრო თანამშრომლობა, ადგილობრივი
სამოქალაქო საზოგადოების როლი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და თანამშრომლობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის მართვა (Black Sea CBC) რეგიონალურ დონეზე მოხდება. ეს განავითარებს კონტაქტებს შავი ზღვის ქალაქებსა და თვითმმართველობებს, უნივერსიტეტებს, კულტურის დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის. მნიშვნელოვანია კონფლიქტურ ზონებში მოსახლეობის ორმხრივი კავშირების აღდგენა.

სამეზობლო საინვესტიციო სახსრების (Neighborhood Investment Facility) გამოყენება სამეზობლო

პოლიტიკის ქვეყნებში გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებას, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას.

ევროკავშირის დაფინანსება გაგრძელდება სექტორული პროგრამებით. ევროკავშირ-BSEC-ის მაღალი დონის შეხვედრები მოემსახურება რეგიონალური დიალოგის წარმართვას. მიმდინარე საკითხებზე შავი ზღვის სინერგიაში მონაწილე ქვეყნების შეხვედრები გაიმართება რეგულარულად. კომისიას BSEC-ში ექნება დამკვირვებლის სტატუსი და მხარს დაუჭერს ევროკავშირის სხვა წევრებს, რათა მოიპოვინ იგივე სტატუსი. ამასთან „შავი ზღვის ფორუმი“ (Black Sea Forum) იქნება არასამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალური თანამშრომლობის ორგანო.⁴

გამოყენებული იქნება თანადაფინანსების (co-financing) პრინციპი. ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრები, საერთაშორისო დახმარებები, ევროკავშირის ქვეყნებიდან მხარდაჭერა, აგრეთვე ევროპის საერთაშორისო ბანკების დაფინანსება მოხმარდება ეროვნული, რეგიონალური და საზღვრისპირა პროგრამების განხორციელებათ.

ამრიგად, შავი ზღვის რეგიონში არსებითი ცვლილებები მოხდა. ევროკავშირის ახალი რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივა შეავსებს მის ორმხრივ და მრავალსექტორულ ქმედებებს. შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის ყოფნა რეგიონალურ განვითარებაში ახალ პერსპექტივებს და შესაძლო ყოვლისმომცველ ძალისხმევას, რათა სრულიად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობები, მივანიჭოთ რეგიონს მეტი სტაბილურობა და კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის დეინტეგრაციამ და შავი ზღვის არეალში ცვლილებათა ახალმა სპექტრმა ახალი რეალიები წარმოაჩინა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შავი ზღვის აუზში მიმდინარე გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესებში.

ფიზიკური და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე დსთ ჩართული აღმოჩნდა რეგიონის ინტეგრაციულ პროცესებში. ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მიდგომის პრიმატი ჩვენ გვაძლევს უფლებას დსთ-ს გარკვეული სივრცე განვიხილოთ როგორც თანამედროვე შავი ზღვის რეგიონის შემადგენელი ნაწილი.

ბერლინის კედლის დანგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ბიპოლარული მსოფლიო, საერთაშორისო სისტემა, ახალი მსოფლიო წესრიგით შეცვალა. იმ მიზეზ-შედეგობრივი ისტორიული ფაქტორებიდან, რომელმაც საბჭოთა სისტემისა და რეჟიმის დეზინტეგრაცია გამოიწვია, ექსპერტები აკორდად აელანეთს, ჩერნობილსა და გორბაჩოვს ასახელებენ. გარეგნულად თითქოსდა მდგრადი რეჟიმი, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევდა ბრძოლისა და არსებობის უნარი, უსისხლოდ, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე ერთბაშად დაიშალა, საბჭოთა იმპერია დაინგრა.

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა
თანამეგობრობა (დსთ) შავი ზღვის რეგიონალურ
ინტეგრაციულ პროცესებში**

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ, CHG) აბრივიატურის შესახებ ლაპარაკი დაიწყო ბელოვეჯის შეხვედრის შემდეგ, რომელმაც თავისი პრაქტიკული განხორციელება კპოვა 1991 წლის დეკემბერში. 1991 წლის 8 დეკემბერს, როცა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში რუსეთის პრეზიდენტის – ბორის ელცინის, ბელორუსიის პრეზიდენტის სტანისლავ შუშკევიჩის და უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაარსების შესახებ. 1991 წლის 21 დეკემბერს ქ. ალმა-ათაში, დსთ-ს შექმნის ხელშეკრულებას დაემატა ოქმი, რომლის თანახმად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდნენ: ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და მოლდოვას რესპუბლიკები.⁵

ალმა-ათაში საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერთა შეკრებაზე, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უარმა, შესულიყო დამოუკიდებელ სა-

ხელმწიფოთა თანამეგობრობის კავშირში, განაკირობა რუსეთის მხარდაჭერა 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში დაწყებული სამხედრო გადატრიალებისადმი. მას შემდეგ რაც გარეშე ძალების მონაწილეობით და დახმარებით, რუსების, კაზაკების, ჩრდილო კავკასიელების და სხვათა ჩათვლით – აფხაზეთმა 1993 წლის სექტემბერში მოახერხეს საქართველოს სამხედრო ძალების დამარცხება. გადაჭრით გადაიდგა ნაბიჯები დსთ-ში შესასვლელად, ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე ედვარდ შევარდნაძემ გამოთქვა მზადყოფნა დსთ-ში შესვლის შესახებ, აფხაზეთში რუსეთის მხარდაჭერის იმედით, მაგრამ ეს ნაგვიანები აღმოჩნდა, მან სიტუაცია ვერ გამოასწორა. მას შემდეგ რაც საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა და სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, საქართველოს მთავრობამ რუსეთის თანადგომის იმედით განმეორებით გამოთქვა სურვილი დსთ-ში შესვლის მზადყოფნის შესახებ.

1993 წლის 24 დეკემბერს საქართველო დსთ-ს შეუერთდა და მისი წევრი ქვეყანა გახდა.

დსთ-ს 1993 წლის 22 იანვარს ქ. მინსკში სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს სხდომაზე მიღებულ

წესდებაში აღინიშნა, რომ დსთ-ს მიზნებს შეადგენდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემონიტარულ, კულტურულ და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელება. თანამეგობრობა წესდების თანახმად წარმოადგენს სახელმწიფოს და მას არ გააჩნდა ზეეროვნული უფლებამოსილებანი. 1994 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება დსთ-ს წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ. დსთ-ში შესვლაზე თანხმობის განცხადებით საქართველოს ხელისუფლებამ და ე. შევარდნაძემ ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია მიიღეს რუსეთისაგან. დსთ-ში შესვლით საქართველომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში უკვე მერამდენედ გააკეთა არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ.

მართალია, საქართველო ყველაზე გვიან შეუერთდა დსთ-ს, მაგრამ იგი დსთ-ს წესდების ზოგიერთ მუხლებზე ხელმოწერას ამართლებდა იმით, რომ რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ის იძულებული იყო მიეღო დსთ-ს მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი მოთხოვნა, რომელიც ზღუდავდა ქვეყნის სუვერენიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ დსთ თავისი არსებობის 10

წლისთავს ითვლის მასში ინტეგრაციული პროცესები არაეფექტურადაა წარმოდგენილი, რადგან იგი თავიდანვე არ ეფუძნებოდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და თანასწორუკლებიანობის პრინციპებს, დსთ-ს ინტეგრაციული პროცესები არ ხორციელდებოდა ნებაყოფლობით, ბუნებრივად, მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვით. საქართველოს დსთ-ში შესვლა ხორციელდებოდა რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისა და შანტაჟის პირობებში, რომელმაც 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა სრულ დაცემამდე მიიყვანა. აღნიშნულ პერიოდში რეალური მთლიანი შიდა პროდუქციის დონე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი სწორედ საქართველოში იყო. აი ასეთი წარუმატებელი გახლდათ საქართველოს პირველი ნაბიჯები დსთ-ს ეკონომიკურ სივრცეში.

ილუზიად დარჩა დსთ-ს საწესდებო ორგანოთა პროგნოზი და გეგმა, რომლის მიხედვით დსთ-ს სივრცეს ყველა დონის ღრმა ინტეგრაცია 2000 წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრებულიყო.⁶

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გართიანებულ 12 სახელმწიფოს ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტის თავისი საკუთარი გზა გააჩნდა, რაც აკერხებს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. რუსეთი დსთ-ში ცდილობს ეკონომიკური ინტეგრაცია ხელოვნურად დააჩქაროს და იგი დაუქვემდებაროს სამხედრო პოლიტიკურ მიზნებს. ეკონომიკური ინტეგრაციის ხელოვნური დაჩქარება იწვევს არა ინტეგრაციას, არამედ დეზინტეგრაციას. დსთ-ს ფარგლებში ეკონომიკური ინტეგრაცია უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს: დსთ-ს ყველა ქვეყნის ინტერესთა გათვალისწინებით, აღნიშნულ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის თავისუფალი ნება და ინტეგრაცია ეკონომიკის იმ სექტორში, რომელიც ყველაზე მომგებიანია.

დსთ-ს სიერცეში არსებობს სხვადასხვა დონის ინტეგრაციის ფორმები, ესენია: მაღალი დონის ინტეგრაცია, სადაც თავიდან ჩადებული იყო ფედერაციის სამოკავშირეო-ფედერალური ხელშეკრულების გაფორმება ბელორუსიასთან, რომელმაც შედეგი 2000 წლის დეკემბერში გამოიღო. 2000 წლის 8 დეკემბერს რუსეთსა და ბელორუსიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამოკავშირეო სახელ-

მწიფოს შექმნის თაობაზე. პერსპექტივაში კავშირს სხვა ატრიბუტებთან ერთად ერთიანი ფულადი ერთეული ექნებოდა. ამ კავშირის შექმნას სათავე დაუდო დსთ-ს გეოპოლიტიკური ღერძის შექმნამ, რომელიც დსთ-ს დაარსების დღიდან ასე გამოიყურებოდა: მინსკი-მოსკოვი-ერევანი-დუშანბე, რომელსაც 90-იანი წლების ბოლოს კიშინიოვიც მიემატა. ეს ქვეყნები თავიდანვე მოწადინებული იყვნენ, შეექმნათ მჭიდრო, ერთიანი სამხედრო პოლიტიკური ალიანსი. დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღად ბელორუსიისა და რუსეთის პრეზიდენტებმა შემთხვევით როდი აირჩიეს 8 დეკემბერი. ზუსტად 1991 წლის 8 დეკემბერს სამმა მოკავშირე რესპუბლიკამ დადო ე.წ. ბელოვევის შეთანხმება, რითაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. დსთ-ს 8 წლიან იუბილეზე რუსეთ-ბელორუსიის მიერ უკრაინის გარეშე ხელმოწერილი ხელშეკრულება სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე იყო სსრ კავშირის რენიმაციის ცდა. მაშინდელი პრემიერის ვლადიმერ პუტინის აზრით, გაერთიანებას ისეთი ფორმა უნდა მისცემოდა, რომ ბელორუსიას და რუსეთს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლა თავდაცვისა და უშიშროების სფეროებში, ერთიანი პოზიცია დაეკავებინათ

საერთაშორისო არენაზე. სწორედ ამგვარი თანადგომა გამოამქვლენს მათ სტამბულის 1999 წლის ნოემბრის სამიტზე.

დსთ-ს მაღალი დონის ინტეგრაცია რუსეთ-ბელორუსიის გაერთიანებით დამთავრდა, რომელშიც ისინი ცდილობდნენ სხვა სახელმწიფოებიც ჩაერთოთ.

დსთ-ს შიგნით არსებული ინტეგრაციის მეორე ფორმას წარმოადგენს საშუალო დონის ინტეგრაცია, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ, ეკონომიკურ საკითხებს. მასში გაერთიანებულია ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. ბოლო და უკანასკნელი ფორმა ინტეგრაციისა, დაბალი დონის ინტეგრაციით არის ცნობილი და მასში გაერთიანებული იყვნენ ისეთი ქვეყნები როგორცაა: უკრაინა, მოლდოვა და თურქმენეთი.

90-იან წლებში იქმნებოდა პრეცედენტი იმისა, რომ ეჭვქვეშ დამდგარიყო ინტეგრაციული პროცესები. აშკარაა ის გარემოება, რომ ინტეგრაციის ყველა დონეზე იკვეთება, რუსეთის წამყვანი და ჰეგემონისტური როლი. დსთ-ზე როდესაც მიდის მსჯელობა, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან მომენტს: თანამეგობრობამ შესძლო პოსტსაბჭოური

სიერცვე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ეხსნა გლობალური კონფლიქტებისაგან. პალკანეთში ეს მოვლენები ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შედეგად მეტად მტკივნეული აღმოჩნდა.

ინტეგრაციული პროცესების თვალსაზრისით, დსთ-მ რაიმე კონსტრუქციულის გაკეთება ვერ შეძლო. ძალიან ბევრი მიღებული დოკუმენტიდან რეალურად ცოტა რამ არის გაკეთებული. თვით დსთ-ს სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელი აპარატი სოციალისტური სისტემის ასოციაციას იწვევს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს რაღაც კეთდება დსთ-ს რეფორმებისათვის, მაგრამ იგი პრაქტიკულად ერთ ადგილზე დგას.

დსთ-ში ცენტრალური თემა სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხია და ამის უკან სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი დგას. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას 1992 წელს მოაწერა ხელი დსთ-ს ექვსმა სახელმწიფომ: რუსეთმა, სომხეთმა, ყაზახეთმა, ტაჯიკეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა. 1993 წელს მათ შეუერთდა საქართველო, აზერბაიჯანი და ბელორუსია. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ პოსტსაბჭოურ სიერცვეში სამხედრო სტრატეგიული ვაკუუმი შეავსო და იგი

რუსეთის მიერ თანამეგობრობაზე გაელენის ძირითად ინსტრუმენტად იქცა.⁷

90-იანი წლების ბოლოს საქართველოსა და აზერბაიჯანის პოზიცია აღნიშნული ხელშეკრულებისადმი სკეპტიკური გახდა, რადგან მათ კავშირის დამყარება დაიწყეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან, რადგან ამ ბლოკში შესვლას ისინი თავიანთ პერსპექტივას უკავშირებენ.

დსთ-ს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულება ობიექტური მიზეზებით არ ყოფილა განპირობებული. 2000 წლის მაისში რუსეთი შეეცადა აღნიშნული ხელშეკრულების „გაცოცხლებას“. მოსკოვს ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული, ერთგული, დასაყრდენი და მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში. სომხეთის სახით, იგი მოსკოვის აქტიურ სამხრეთელ პარტნიორად რჩება და სწორედ მასთან ალიანსში რუსეთი ცდილობს აღნიშნული სამხედრო ხელშეკრულების „გაცოცხლებას“.

1993 წლიდან, საქართველოს დსთ-ში შესვლის დღიდან საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა დსთ-ს ქვეყნებთან ორმხრივი თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრე-

ლი ურთიერთობების დამყარებას. დსთ საქართველოსათვის დროებითი, გარდამავალი სტრუქტურა გახდა, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად.

90-იან წლებში საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში დსთ-ს სივრცეს გამოკვეთილი ადგილი ეკავა, ეს გამოწვეული იყო, ტერიტორიული სიახლოვით, რომელიც საქონელბრუნვის ორიენტაციას განსაზღვრავდა. 90-იან წლებში საქართველო ისევ დამოკიდებული იყო ტრადიციულ ბაზრებზე და ექსპორტის 64% დსთ-ს სივრცეში გაედინებოდა.

დსთ-ს ქვეყნიბიდან საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილი იყო სამი უმნიშვნელოვანესი დარგი: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობა. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში უფრო ჭარბობდა ნედლეული და ბუნებრივი რესურსები.

საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს დსთ-ს სივრცეში წარმოადგენდა: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა. დსთ-ს ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთელი მოცუ-

ლობის 42,2 პროცენტს შეადგენდა. მათ შორის ექსპორტის 44,9 და იმპორტის 38,5 პროცენტი. 2000 წლის მონაცემებით დსთ-ს ქვეყნებიდან ძირითადი სავაჭრო, პარტნიორი ქვეყანა საქართველოსათვის რუსეთი იყო. საექსპორტო საქონლის, განსაკუთრებით აგრარული სექტორის პროდუქციის რეალური გასაღების ბაზარი დსთ-ს სივრცე იყო და უპირატესად რუსეთი. 90-იან წლებში დსთ-ს სივრცეში განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკრაინა-საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხი, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობის ალტერნატიული გახდა. უკრაინასა და საქართველოს მრავალ საკითხებთან ერთად გააჩნიათ საერთო ინტერესები ნავთობის ტრანსპორტირებისა და ბისეკის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებში.

90-იანი წლების ბოლო პერიოდმა, კერძოდ 2000 წელმა, ახალი კორექტივები შეიტანა თანამეგობრობის ტერიტორიაზე მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებში. რუსეთმა, როგორც დსთ-ს წამყვანმა სახელმწიფომ, დაკარგა ინიციატივა საერთო კავკასიურ პროექტებში. 2001 წლის მეორე ნახევარში რუსეთმა ვერ გასცა მთავარ კითხვას

პასუხი, თუ რა გზით და საშუალებით უნდა ეწარმოებინა მას ურთიერთობების პოლიტიკა დსთ-ს რაღ სახელმწიფოებთან. დსთ-ს პერსპექტივები არასახარბიელო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2000 წლის აგვისტოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა სავიზო რეჟიმის შეიშლების შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის. ეს მაუწყებელი გახდა იმისა, რომ რუსეთი გამოვიდა 1992 წლის ბიშკეკის შეთანხმებიდან. ეს ბერკეტი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ქვეყნებზე ზემოქმედებასა და რუსეთის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად იქნა ჩაფიქრებული. ყველასათვის აშკარად ნათელი იყო, რომ რუსეთის სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სისტემა, არასაიმედო და არაპროგნოზირებადი გახდა.

2000 წლის ოქტომბერში ასტანაში დსთ-ს ექვსმა ქვეყანამ: რუსეთმა, ბელორუსიამ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და სომხეთმა ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა ახალი გაერთიანების შექმნის ხელშეკრულებას, რომელმაც ფაქტობრივად ნონსენსამდე დაიყვანა დსთ-ს სიცოცხლისუნარიანობა.

ასტანაში შეიქმნა ახალი გაერთიანება, რომელსაც, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო წარმონაქმნის ატრიბუტიკა გააჩნდა. პოლიტოლოგთა აზრით, არ იყო გამორიცხული, რომ სახელმწიფოთა ამ გაერთიანებას მომავალში ევრაზიული ქვეყნების კავშირის სტატუსი მისცემოდა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შედეგად ყოფილ საბჭოთა სივრცეში სახელმწიფოთა შემდეგი ძირითადი ორიენტაცია და მიმართულება გამოიკვეთა: ა. ბალტიის ქვეყნები, რომლებმაც უარი განაცხადეს დსთ-ში შესვლაზე და მთლიანად კურსი დასავლეთისაკენ აიღეს. ბ. პრორუსული ორიენტაციის ქვეყნები. გ. სუამის წევრი ქვეყნები. სუამის ქვეყნები აცნობიერებენ, რომ დსთ-ში მათი გაერთიანება არასოდეს იქნება თანასწორ ურთიერთობაზე აგებული და მას რუსეთის ჰეგემონის ინსტიტუტად მიიჩნევენ. ამიტომ მათ ურთიერთთანამშრომლობის საკუთარი გზა იპოვეს. 90-იან წლებში დსთ-ს 950 დოკუმენტს მოეწერა ხელი, თუმცა ამათგან მხოლოდ 130-მა იმუშავა რეალურად. თუ რუსეთის ფედერაციის დსთ-ს საქმეთა მინისტრის სიტყვებს მოვიშველიებთ, დსთ-მ მთავარ ამოცანას –

„ცივილიზებულ განქორწინებას“ თავი წარმატებით გაართვია.⁸

ამრიგად, დსთ – ვერ გახდა ახალი პოლიტიკური სიერცის სტაბილურობის გარანტი, არამედ იგი ჩამოყალიბდა მასში შემავალი ქვეყნების ერთმანეთისაგან ცივილიზებულად დაშორიშორების საშუალებად. საქართველო რაც შორს იქნება დსთ-დან მით უფრო უკეთესი იქნება მისთვის.

სუამი – სახელმწიფოთაშორისო-რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ – საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა (1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში აგრეთვე შედიოდა უზბეკეთი). ორგანიზაციის სახელი მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სახელებისაგან შემდგარი აკრონიმია. უზბეკეთის გასელამდე მას ეწოდებოდა სუუამის ქვეყნები.

თანამშრომლობა საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის სუამის ფარგლებში დაიწყო საკონსულტაციო ფორუმით, რომელიც 1997 წლის 10 ოქტომბერს შედგა სტრას-

ბურგში, სადაც მიიღეს სტრასბურგის დეკლარაცია. 1999 წლის 25 აპრილს ორგანიზაციას უზბეკეთიც შეუერთდა და მას სუუამი დაერქვა. სუუამის უმთავრეს პრინციპს და დეკლარაციას მემორანდუმით, წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს 2000 წლის სექტემბერში გაეროს შტაბბინაში გამართულ შეხვედრაზე. მემორანდუმში აისახა ისეთი პრინციპები, როგორიცაა ერთგულება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური ნორმებისადმი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, ძალის გამოუყენებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა და საზღვრების ხელშეუხებლობა. დოკუმენტში დადასტურებულია, რომ წევრი სახელმწიფოები ვერ შეურიგდებიან ვერავითარ კანონსაწინააღმდეგო აქტს და რაც მთავარია ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. გაკეთებულ იქნა მიმართვა გაეროსადმი, რათა მის ფარგლებში შექმნილიყო ანტიტერორისტული ცენტრი.

2001 წლის 6-7 ივნისს გამართულ იალტის სამიტზე მოხდა სუუამის ქარტიის ხელმოწერა, რაც ორგანიზაციის ფორმალურად შექმნის თარიღად ითვლება. 2002 წელს უზბეკეთმა გამოაცხადა რომ

ორგანიზაციიდან გამოსვლას გეგმავდა და მას შემდეგ სუამის სამიტებსა და შეხვედრებს იგნორირებას უწევდა.

მომდევნო წლებში ორგანიზაცია სტაგნაციას განიცდის: 2004 წლის იალტის შეხვედრას ხუთი წვერიდან მხოლოდ ორი ესწრებოდა. თუმცა ბოლოდროინდელმა ფერადმა რევოლუციებმა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვაში პროდასავლური და ანტირუსული მმართველი პარტიის დაპირისპირება სუამის წევრებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია უფრო აქტუალური გახდა, რამაც ბევრი ანალიტიკოსის აზრით შესაძლოა სუამის მნიშვნელობის გაზრდას შეუწყოს ხელი.

სუამის ბოლო სამიტი კიშინიოვში (მოლდოვა), შედგა 2005 წლის 22 აპრილს. უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი და ასევე მოწვეული პოლონეთის პრეზიდენტი შეხვედრაზე არ გამოჩენილან. თუმცა დამკვირვებლების როლში იყვნენ რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბაშესკუ, ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი, აშშ-ის სახ. დეპარტამენტის ევრაზიის სპეციალური წარმომადგენლის სტივენ მანი და ეუთოს გენერალური მდივანი იან კუბისი. რუსეთის ელჩმა კიშინიოვში უკმაყოფილება

გამოთქვა რუსეთის წარმომადგენლის არმოწვევის გამო.

2005 წლის 5 მაისს უზბეკეთმა საბოლოოდ ოფიციალურად განაცხადა ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ, რის შემდეგაც მას ისევე სუამი ჰქვია.

ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო არის სუამის ქვეყნების საგარეო სამინისტროთა საბჭო. სამუშაო ორგანოა ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტი, რომელიც შედგება სუამის ყოველი წევრის თითო კოორდინატორისგან.

სუამის საინფორმაციო ოფისი კიევიშია. სულ რვა სამუშაო ჯგუფია, თემატური საკითხების მიხედვით: ენერგო-საინჟინრო; სატრანსპორტო; სავაჭრო-ეკონომიკური; საინფორმაციო საშუალებები და ტელეკომუნიკაციები; კულტურა; მეცნიერება და განათლება; ტურიზმი; ანტიტერორიზმი, ორგანიზებული კრიმინალისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა.

2005 წლის 22 აპრილის კიშინიოვის სამიტზე პრეზიდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, სუამის გაერთიანების ბაზაზე ახალი საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც დაეფუძნებოდა 2001 წელს სუამის ქვეყნების პრეზი-

დენტების მიერ ხელმოწერილ იაღტის ქარტიას და 2005 წელს მიღებულ კიშინიოვის დეკლარაციას.⁹

2005-2006 წლის განმავლობაში ჩატარდა ექსპერტთა ხუთი შეხვედრა და ეროვნულ კორდინატორთა კომიტეტის სხდომები ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტების შემუშავებისა და შეთანხმების მიზნით. 2006 წლის 22-23 მაისს ქ. კიევიში ჩატარებულ სუამის მორიგ სამიტზე, სუამის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამი. ახალი ორგანიზაციის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა სუამის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა მიერ კიევის შესაბამისი დეკლარაციის, ორგანიზაციის წესდებისა და სხვა დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერით.

ახალ ორგანიზაციას ნაწილობრივ შეუნარჩუნდა სახელწოდება და ახალ დასახელებაში კვლავ ფიგურირებს გაერთიანების ადრე არსებული აბრევიატურა სუამი. თუმცა ახალი ორგანიზაციის გაფართოების შემთხვევაშიც მას არ ჩამოშორდება ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნების შემადგენლობის ამსახველი აბრევიატურა სუამი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა). ახალი

ორგანიზაციის სახელწოდებაში სუამის შენარჩუნება განპირობებულია ამ გაერთიანების ყოფილი სახელწოდების პოპულარულობით საერთაშორისო არენაზე.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამის ძირითადი მიზნები ორგანიზაციის წესდების შესაბამისად:

- დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება, საპარტლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა;
- სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა; საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება;
- ევროპის ინტეგრაციის გაღრმავება საერთო უსაფრთხოების სივრცის შესაქმნელად, აგრეთვე ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება;
- მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული პოტენციალის განვითარება;

- ურთიერთდანიტერესების სფეროებში პოლიტიკური ურთიერთქმედებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურება.

ახალი ორგანიზაციის სტრუქტურა წესდებაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საბჭო - არის ორგანიზაციის ძირითადი ორგანო, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს სახელმწიფოთა მეთაურების (სამიტი), საგარეო საქმეთა მინისტრების, ეროვნული კოორდინატორებისა და მუდმივი წარმომადგენლების დონეზე.

2. სამდივნო - სამდივნო ახორციელებს სუამის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სამდივნო ფუნქციონირებს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

სუამის ორგანოებში გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მხარის მონაწილეობით, კენჭისყრის გარეშე, შეთანხმების გზით კონსენსუსის საფუძველზე. სუამი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ორგანიზაციაში თავმჯდომარეობა ხორციელდება ერთ-ერთი მხარის მიერ, როგორც წესი, ერთი წლის ვადით, როტაციის პრინციპით ინგლი-

სურ ანბანში წვერი სახელმწიფოების სახელ-
წოდებათა თანმიმდევრობის მიხედვით.

სუამი ღიაა სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ-
ლებიც ვალდებულებას იღებენ დაიცვან წინა-
მდებარე წესდების, აგრეთვე სუამის 2001 წლის
იალტის ქარტიის და სუამის სახელმწიფოთა
მეთაურების 2005 წლის კიშინიოვის დეკლარაციის
დემოკრატიის, სტაბილურობისა და განვითარები-
სათვის დებულებანი.

ახალ ორგანიზაციაში თანამშრომლობის პრი-
ორიტეტული მიმართულებებია – ეკონომიკა,
უსაფრთხოება და დემოკრატია. ახალი ორგანი-
ზაციის ძირითადი მიზანია სუამის წვერ სახელ-
მწიფოებში თანამშრომლობის გაღრმავება ეკონო-
მიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში,
აგრეთვე უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვა-
რების, სტაბილურობის და დემოკრატიის განმტკი-
ცებისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის
მიზნით ძალისხმევის კოორდინაცია. ორგანიზაციის
წვერ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის
განვითარება ამ მიმართულებით უნდა ემსახუ-
რებოდეს ამ ქვეყნების ინტეგრაციას ევროპულ და
ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

